პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
შაბათი 26 დეკემბერი
№ 296 (18238)
ფასი 2 კაპ.

ახალი შრომითი გამარჯვება

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავენ ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს შრომით გამარჯვებას — ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობის წარმატებით დამთავრებას.

წელიწადში 192 ათასი ტონა კომბინირებული საკვების საპროექტო სიმძლავრის ქარხნის ამოქმედება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების გზაზე და მნიშვნელოვანი წვლილია ჩვენი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

ახალი წლის წინ მიღწეული ეს წარმატება რესპუბლიკის მშენებელთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა კოლექტივების თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის. სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის ერთობლივი მეცადინეობის შედეგია.

საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, რუსეთის სფსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს არაშავმიწანიადაგიანი ზონის „ელექტროწისქვილმონტაჟის" ტრესტის როსტოვის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს, სხვა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების კოლექტივებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, აფხაზეთის ასსრ ყველა მშრომელს მომავალ ახალ წელს და უსურვებენ ახალ შრომით გამარჯვებებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფსაბჭო
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

პარტიული წრთობის სკოლა

[...]ლეულს, გაზაფხულზე, ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას სერიოზული ჩავარდნები ჰქონდა. როცა საკითხი პარტიულ კრებაზე განიხილეს, უფრო ნათლად გამოჩნდა ჩამორჩენის მიზეზები. დადგინდა, რომ პროდუქციის ერთეულზე ზედმეტად იხარჯებოდა დიდი რაოდე[...]ბის საკვები, უკუგება კი მეტად დაბალი იყო. [...]ბამ შეიმუშავა საკვების აღრიცხვის მოწესრი[...]ის, ფერმაში დისციპლინის განმტკიცების, მწვე[...]ერა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯო[...]ბის ღონისძიებანი. დადგენილების შესრულე[...]თვის კონტროლი დაეკისრა კოლმეურნეობის [...]რო ეკონომისტს, კომუნისტ ა. ბასილაძეს, [...]ელმაც, როგორც იტყვიან, გულთან მიიტანა ეს [...]ტიული დავალება. მთელი თვის მანძილზე მისი [...]უშაო დღე ფერმაში იწყებოდა, მოქმედებდა [...] პასუხისმგებლობით, ინიციატივიანად და [...]სულ მალე მეცხოველეებმა თავი დააღწიეს ჩა[...]რჩენას. მათი ფერმა მესამე კვარტალში ისე [...]ინაურდა, რომ რაიონის მეცხოველეობის ფე[...]ბს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრება[...] ერთ-ერთი გამარჯვებული გამოვიდა.

[...]ხოვრება, ჩვენი მუშაობის პრაქტიკა ყოველ[...]ურად ცხადად და თვალნათლივ გვიჩვენებს, [...]მ ყოველი პარტიული ორგანიზაციის ძალისა და [...]ოლისუნარიანობის წყაროა მისი წევრების აქ[...]ურობა.

[...]ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნე[...]ბას ანიჭებს პირველადს პარტორგანიზაცი[...]ა მებრძოლურობას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. [...]ჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდი[...] წლის ნოემბრის პლენუმზე, — იმაზე, თუ [...]გორ მუშაობენ კომუნისტები, ბევრად არ[...] დამოკიდებული ვითარება, განწყობილე[...] შრომით კოლექტივებში, მაშასადამე, [...]რმოო მაჩვენებლებიც. საჭიროა, რომ [...]თოეული კომუნისტი — ჩვენ კი თითქმის [...]რამეტი მილიონი ვართ — თავის უბანზე [...]ელ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცო[...]ას ახმარდეს რეზერვების ძიებას, შრომის [...]ექტიანობის ამაღლებას, გვიჩვენებდეს [...]ომითი თავდადების ღირსეულ მაგალითს".

[...]ჩროლად კომუნისტთა გააქტიურებას, თითოეული [...]განის შემოქმედებითი უნარისა და ინიციატი[...] გამოვლენის საუკეთესო საშუალება კი პარტი[...] დავალებაა. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო [...] მნიშვნელობა. დავალება კიდევ უფრო დის[...]ლინიანს ხდის კომუნისტს, უძლიერებს ამხანა[...]ის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას, განუ[...]ციებს აქტიურ პოზიციას. ჩვენი რესპუბლიკის [...]სობით კომუნისტი არჩეულია პარტიული ბიუ[...]ებისა და კომიტეტების შემადგენლობაში, აქტი[...]დ მონაწილეობენ პროფკავშირული და კომ[...]ვშირული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატ[...] საბჭოების მუშაობაში. ვინ მოთვლის რამდენი [...]უნისტი ასრულებს პარტიულ დავალებას, [...]გორც სახალხო კონტროლიორი, ახალგაზრდა [...]მათა ცვლის დამრიგებელი, კედლის გაზეთის [...]აქტორი და მუშკორი, პროპაგანდისტი და [...]ტატორი, ლექტორი და პოლიტინფორმატორი. [...]ღეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს [...]ეთი პარტიული დავალებები, რომელთა შესრუ[...]ებაც ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების [...]მდგომ განვითარებას, მისი ორგანიზაციის გაუ[...]ობესებას, საწარმოო მექანიზმის სრულყოფას, [...]ნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, [...]ლულისა და საწვავ-ენერგეტიკული რესურსე[...] მომჭირნედ, ყაირათიანად ხარჯვას. პირველა[...] პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული [...]რადღება და ზრუნვა სჭირდება ჩვენი ქვეყნის [...]წინავე შრომითი კოლექტივების მიერ წამო[...]ებულ ახალ თაოსნობას, რომელიც საქართვე[...]ს მშრომელებმაც აიტაცეს: „სსრ კავშირის [...]ქმნის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური [...]ომითი კვირა!"

[...]რთი სიტყვით, საკმაოდ ვრცელია, შეიძლება [...]ქვას, უსაზღვროა საზოგადოებრივი საქმიანო[...]ს არე დაასპარეზი, ამიტომ მდიდარი და მრა[...]ლფეროვანია თვით პარტიულ დავალებათა არ[...]ვანიც. შრომითი კოლექტივის წინაშე დასახუ[...] ამოცანების ფარგლებში თითოეულს უნდა [...]ეცეს ისეთი საქმე, რომელიც მისთვის საინ[...]რესო და სახალისო იქნება, შეეფერება მის ცო[...]ას, უნარს, გამოცდილებას. ამ მხრივ დაკვირ[...]ულად, შემოქმედებითად მუშაობენ თბილისის [...]მეტროვის სახელობის საავიაციო, ქუთაისის [...]ტომობილო, ბათუმის საყოფაცხოვრებო მან[...]თსაშენებელი ქარხნების, გუდაუთის რაიონის [...]ელ ლიხნის კოლმეურნეობისა და ბევრი სხვა [...]ტიული ორგანიზაციები.

[...]მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გა[...]თიანების სათაო საწარმოს პარტიული კომიტე[...] გარდა იმისა, რომ შექმნილი სიტუაციების [...]ბედვით უნარიანად ეძებს და იყენებს მუშაობის [...]ექტიანობის ამაღლებისათვის კომუნისტთა აქ[...]ური მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს, ახ[...]ბს პარტიულ დავალებათა საჭაროობასაც. რო[...]რც წლეულს გამართულ საამქრო პარტიულ [...]რგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმაც [...]ადასტურა, საწარმოში ახლა უფრო კონკრეტუ[...]დ მსჯელობენ კომუნისტებზე, თუ როგორ ამა[...]ლებენ ისინი პარტიული ორგანიზაციის ნდო[...], კოლექტივის თითოეულმა წევრმა იცის ვინ [...]ზე მუშაობს და რაზეა პასუხისმგებელი, ვის [...]მართოს მან საჭირო შემთხვევაში.

[...]მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან როდი ითვალის[...]ნებენ პარტიული დავალების დიდ როლსა და [...]ეთს. ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ადი[...]ნისა და თეთრიწყაროს რაიონების ბევრ პირვე[...]ლ პარტიულ ორგანიზაციაზე, სადაც ან მხო[...]დ ქაღალდზე აქვთ ჩამოწერილი დავალებები, [...] ასეთი ფორმალურად შედგენილი სიებიც არა [...]თ. ეს ხომ მეტად საპატიო და პასუხსაგები [...]მის აბუჩად აგდებაა?!

[...]ანდა პარტიული ბიუროს რა ბრძოლისუნარია[...]ბაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა მისმა [...]თ-ერთმა წევრმა თითქმის მთელი საანგარიშო [...]რიოდის მანძილზე არც კი იცოდა, ბიუროს შე[...]დგენლობაში რომ იყო არჩეული. ო. ალიბეგაშ[...]ლს, კასპის რაიონის ქვემო ჭალის ამბულატო[...]ის ექიმს, თავდაპირველად ეგონა აგიტატორობა დამაკისრესო, მაგრამ ბოლოს ერთ-ერთი რესპუბლიკური გაზეთის ფურცლებიდან შეიტყო, რომ ქვემო ჭალის ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ ყოფილა არჩეული. პარტიის კასპის რაიკომის ბიურომ ამ ფაქტს მკაცრი შეფასება მისცა, ო. ალიბეგაშვილი ამ თვეებში წინათ გამართულ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ბიუროს წევრად აღარ აირჩიეს, მაგრამ თვით კომუნისტების უპასუხისმგებლობა, პარტორგანიზაციის ბიუროს დანაშაულებრივი გულგრილობა, როგორც იტყვიან, ამაზე შორს ვეღარ წავა.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დროზე უნდა მისცენ პრინციპული შეფასება პარტიული დავალებების შესრულებისადმი უპასუხისმგებლობის გამოვლინებას, ყოველ ფაქტს. სწორად მოიქცა პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის ბიურო, როცა პროპაგანდისტული საქმიანობისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის სხვადასხვა დროს მკაცრად დასაჯა ოფურჩხეთისა და ყონეთის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ზ. ტურაბელიძე და ზ. სართანია, მაღლაკის მევენახეობისა და მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები რ. ასათიანი და თ. ჩაკვეტაძე.

მაგრამ ასეთი პრინციპულობა ბევრგან არ ჰყოფნით. თუმცა ამას წინათ გამართულ ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ითქვა — კომუნისტები დავალებების მიღებას გაურბიანო, მაგრამ ვერც მომხსენებელმა და ვერც კამათის მონაწილეებმა ვერ გაბედეს დაესახელებინათ თუნდაც ერთი პასიური კომუნისტის გვარი.

პარტიული დავალება კომუნისტისათვის კანონია. ამიტომ იგი საუკეთესოდ და დაჩესებულ ვადებში უნდა სრულდებოდეს. ჩვენი რესპუბლიკის უმრავლესი პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკაში დამკვიდრდა დავალებების შესრულებისადმი კონტროლის მყუობრი სისტემა. ასეთი კონტროლი, აგრეთვე კომუნისტთა ანგარიშები მათ მიერ გაწეული მუშაობისა, პარტიული კრებისათვის მუდმივი ინფორმაციების მიწოდება დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ — ყოველივე ეს ამაღლებს არა მარტო იმ კომუნისტის პასუხისმგებლობას, რომლის მუშაობაზეც კონკრეტულად მსჯელობენ, არამედ აგრეთვე პარტორგანიზაციის ყველა წევრის აღზრდის სკოლაც არის.

უდავოდ, ჯერ კიდევ ბევრგან დასაძლევია მოჩვენებითობა და ფორმალიზმი. რად ვარგა, როცა კაცს ისეთ საქმეს დააკისრებენ, რომელსაც თავისი მხრებით ვერ აზწევს, არა აქვს ამის არც ცოდნა და არც ხალისი. ზოგჯერ კი ისეთ დავალებას გამოიგონებენ ხოლმე, რომ არც თავი გაეგება და არც ბოლო. მარტო „ჩაეთვალოს" გულისათვის კი არ უნდა გაისარჯოს მდივანი, პარტიული კომიტეტი თუ ბიურო. პარტიული დავალებების შერჩევა-განაწილებაც, ისევე როგორც მთელი პარტიული მუშაობა შემოქმედებითია და მიზანმიმართული, ვერ იტანს ფორმალიზმსა და სიყალბეს. არასწორად იქცევიან, როცა კომუნისტებს ისეთ დავალებებსაც აძლევენ ხოლმე, რომლებიც ფაქტობრივად მათი უშუალო საწარმოო და სამსახურებრივ მოვალეობათა დუბლირებაა.

ყველგან განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ იმ კომუნისტებს, რომლებიც პირველად იღებენ საზოგადოებრივ დავალებას. მათთვის მეტად მნიშვნელოვანია პარტიული ბიუროს (კომიტეტის), მდივნის, უფროსი ამხანაგების მხარდაჭერა და დახმარება. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ინდივიდუალური მუშაობის ფორმები. მაღალი იდეურობა და დისციპლინიანობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა მომთხოვნ, პოლიტიკურად მომწიფებულ პარტიულ კოლექტივში იჭედება. იქ, სადაც მუდამ გულწრფელობისა და მომთხოვნელობის ატმოსფეროა, სადაც არ ურიგდებიან უდარდელობასა და რუტინას, გაბედულად უჭერენ მხარს ახალსა და მოწინავეს, სრული პატივისცემით სარგებლობს პრინციპული, საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ახალბედა კომუნისტი პირველი ნაბიჯებიდანვე ითვისებს და ისისხლხორცებს პარტიული ქცევის მაღალ ნორმებს.

„კომუნისტის" დღევანდელი ნომრის მესამე გვერდი უკვე ტრადიციული ანშლაგით — „პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი" — სწორედ პარტიული წრთობის შესანიშნავ სკოლას — პარტიულ დავალებას ეძღვნება. დღეს ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია იმიტომაც, რომ ამას წინათ დამთავრებული საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ბევრი ახალი ამხანაგი მოვიდა.

სკკპ XXVI ყრილობაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის დიდი ზრუნვა და ყურადღება, რასაც ჩვენი პარტია თავისი ძირითადი რგოლებისადმი იჩენს. ამის ერთ-ერთი დასტურია ისიც, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მომავალი წლის აპრილში თბილისში გაიმართება პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც, უეჭველია, დიდ როლს შეასრულებს პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების მეცნიერულად დამუშავებაში, დაეხმარება თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას სრულყოს, გააუმჯობესოს მუშაობის სტილი და მეთოდები.

კიდევ რამდენიმე დღე და კარს შემოაღებს ახალი, 1982 წელი, რომელსაც თან ათასი საზრუნავ-გასაკეთებელი მოჰყვება. და ამოცანაც სწორედ ის არის, რომ მას ჩვენი გონივრული თადარიგი, დიდი ორგანიზებულობა შევაგებოთ. თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები. დიახ, ყოველდღიური მონაწილეობა საკუთარი პარტორგანიზაციის ცხოვრებაში ის მთავარი ბრძმედია, რომელშიც იწრთობა ჭეშმარიტი კომუნისტის თვისებები და ხასიათი.

საახალწლო ნობათები

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი დედაქალაქის ერთ-ერთი მაღალი კულტურის საწარმოა. მისი კოლექტივი თავდადებით იბრძვის სახელმწიფო დავალებათა უთუო და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საწარმოში ბევრი თავისი საქმის უბადლო ოსტატია, მათ შორისაა მკერავი მარინე ოდიშვილი. იგი კარგა ხანია უკვე მოწინავეთა რიგებშია, ახალგაზრდა კომუნისტი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად არის არჩეული, ამასთან თავის მოვალეობასაც პირნათლად ასრულებს, ჩინებული მკერავია და ყოველთვიურ დავალებას ბევრად აჭარბებს.

სურათზე: მკერავი მ. ოდიშვილი.
ვ. ბენდიურის ფოტო.

სამტრედია

საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად სოციალისტურ შეჯიბრებაში ენერგიულად ჩაებნენ სამტრედიის რაიონის სოფლის მშრომელები, რომლებმაც წლეულს რეკორდულ მიჯნებს მიაღწიეს.

განსაკუთრებით ისახელეს თავი მებოსტნეებმა. მათ გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 19 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 19.112 ტონა ბოსტნეული. რაიონმა გეგმით გათვალისწინებულზე მეტი მოკრიფა: 845 ტონა ჩაი, 611 ტონა ყურძენი. 400 ცენტნერის გადაჭარბებით არის რეალიზებული აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.

იმარჯვეს მეცხოველეებმაც. მათ ვადამდე შეასრულეს ფერმის პროდუქციის დამზადების წლიური გეგმები. ნაცვლად 2.600 ტონისა სახელმწიფოს ჩაბარდა 2.650 ტონა ხორცი, 300 ცენტნერით არის გადამეტებული რძის დამზადების გეგმა და 100 ათასი ცალით — კვერცხისა.

(„კომუნისტის" კორ.).

მაიაკოვსკი

მაიაკოვსკელმა მეცხოველეებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. მათი გადაწყვეტილებაა ხუთწლედის პირველ წელსვე მტკიცე საფუძველი შექმნან საბოლოო მაღალი მიჯნების მისაღწევად. დამკვრელური შრომის წყალობით რაიონის ფერმის მუშაკებმა ჯერ კიდევ დეკემბრის მეორე დეკადის დამდეგს გადამეტებით შეასრულეს ხორცისა და კვერცხის დამზადების წლიური გეგმები. საგეგმო 680 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 690 ტონა ხორცი, საგეგმოზე 340 ათასი ცალით მეტი დამზადდა კვერცხი.

წლის ბოლომდე სახელმწიფოს დამატებით ჩაბარდება 400 ცენტნერი ხორცი და 70 ათასი ცალი კვერცხი.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნოზაძემ და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. აბულაძემ.

(„კომუნისტის" კორ.).

რევოლუციური მოვალეობის ერთგულება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1981 წლის 25 დეკემბერს

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ საზეიმო და სადღესასწაულო დღეს, როცა აღინიშნება ღირსშესანიშნავი და სამახსოვრო მოვლენა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში — რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მე-60 წლისთავი, ჩვენ თითქოს ერთხელ კიდევ ვთვალიერებთ ჩვენი ქვეყნის ბიოგრაფიის მკაფიო ფურცლებს.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ისტორია, რომელიც თავისი ფესვებით უკავშირდება ლეგენდარულ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას, ალავსეა ჩვენი პარტიის იდეალებისადმი, მშრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითებით, მას ალამაღლებს რევოლუციური რომანტიკა და უანგარო რაინდობა, იგი გვასწავლის სიმედგრესა და ნამდვილ კეთილშობილებას. შემთხვევითი როდია, რომ ცნება ჩეკისტი ჩვენში გახდა საზოგადო სახელი, იგი სიმბოლურად განასახიერებს დიდი პირადი ვაჟკაცობის, პატიოსან და პრინციპულ, გამჭრიახი გონებით დაჯილდოებულ ადამიანს, რომელსაც მკერდში მხურვალე გული უძგერს.

დღეს თბილისში ძეგლი აღუგეთ ადამიანს, რომელმაც განასახიერა მებრძოლისა და პატრიოტის ეს საუკეთესო თვისებები. ვ. ი. ლენინის ერთგულ თანამებრძოლს, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანიზატორს ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის. ჩეკისტობა შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც მოსდგამს სიდარბაისლე, აქვს მგზნებარე გული და შეუბღალავი სინდისი, წერდა ძერჟინსკი, და ამ სიტყვების უსაზღვროდ გვჯერა, რადგან ეს თქვა რევოლუციონერმა-ლენინელმა, რომელსაც მტრებიც კი პატივს სცემდნენ ურყევი სიმტკიცისა და პრინციპულობისათვის, პატიოსნებისა და უანგარობისათვის, უდიდესი ჰუმანურობისა და სამართლიანობისათვის.

დაე, ძერჟინსკის ძეგლი ჩვენს დედაქალაქში იყოს ადამიანური სულის ამ შესანიშნავ თვისებათა განსახიერება, საბჭოთა რესპუბლიკის პირველი ჩეკისტისადმი საქართველოს მშრომელთა საყოველთაო-სახალხო მადლიერების გამოხატულება!

ჩეკისტებს თავიანთ საპატიო და პროფესიულ მოვალეობად მიაჩნიათ მუდამ და ყველაფერში ყველაზე მაღლა აყენებდნენ სახელმწიფო უშიშროებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, მშრომელი ხალხის უშიშროების ინტერესებს, მუდამ იცავდნენ მათ სოციალიზმის მტრების ყოველი ხელყოფისაგან, ჩვენდამი მტრული იდეოლოგიისაგან, ყველგან ამკვიდრებდნენ ჯანსაღ მორალურ-პოლიტიკურ კლიმატს.

დიდი ჰუმანიზმი, პრინციპულობა, პროფესიული ოსტატობა — ხასიათის ეს თვისებები სახელმწიფო უშიშროების ახალგაზრდა თანამშრომლებმა მემკვიდრეობით მიიღეს ლენინური გვარდიის რევოლუციონერებისგან, შეისისხლხორცეს ძერჟინსკელი ჩეკისტებისაგან, უფროსი თაობის წარმომადგენლებისაგან. ზოგიერთი მათგანი დღეს აქ, ჩვენ შორის არის, და გვინდა, ძვირფასო ამხანაგებო, მადლობა მოვახსენოთ ჩვენი რევოლუციური მონაპოვრების დაცვის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გულადობისათვის, უსაზღვრო ერთგულებისა და სიმტკიცისათვის.

„სოციალიზმი, როგორც საზოგადოებრივი წყობილება, — თქვა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალის — მშრომელი კაცის რაციონალური და ჰუმანური გამოყენების უდიდეს შესაძლებლობებს შეიცავს". ჩვენი პრინციპულად ახალი — სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების მთელი ისტორია, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მთელი ისტორია არსებითად არის სოციალისტური ჰუმანიზმის მაღალი პრინციპების დამკვიდრების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების პროცესი.

ამ მიზანს არსებობის პირველი დღეებიდანვე დაექვემდებარა მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატი, ყველა მისი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი. მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში ისინი პირველად იყო გამოყენებული, არა როგორც მშრომელი მასების დათრგუნვის იარაღი, არამედ როგორც მათი ლვიძლი ინტერესების უზრუნველყოფისა და დაცვის საშუალება.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოებმა ამ პირობებში იკისრეს საბჭოთა ხელისუფლების უსაშიშროესი მტრების — კონტრრევოლუციის, ბანდიტიზმის, საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი პასუხისმგებლობა და სიმძიმე. როგორც ხალხის სისხლი — სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოებმა, მშრომელთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე რომ იდგნენ, შეისისხლხორცეს ჩვენი რევოლუციის წმიდათაწმიდა პრინციპები, ყოველივე საუკეთესო, რაც მან შვა. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში სამუშაოდ პარტია გზავნიდა მუშათა კლასის, გლეხობის ყველაზე მოწინავე, ყველაზე შეგნებულ ნაწილს, რევოლუციური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. ამ ლენინურ ტრადიციას დღესაც წმიდად იცავენ. ჩვენი უშიშროების ორგანოების ძალა ხალხთან მათი მჭიდრო ერთიანობა, ჩვენი საერთო საქმისადმი მათი უსაზღვრო ერთგულებაა.

(დასასრული მე-2 გვ.).

რევოლუციის რაინდს ეძღვნება

გამოჩენილი ლენინელი რევოლუციონერის ფ. ე. ძერჟინსკის სახელი და საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წარმატებანი განუყრელად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ერთ-ერთი შემქმნელი და პირველი ხელმძღვანელი ფელიქს ედმუნდის ძე საქართველოს ეწვია 1922 წელს, ზედმიწევნით გაეცნო ახალგაზრდა რესპუბლიკის ჩეკისტთა მუშაობას და ბევრი რამ გააკეთა მისი შემდგომი სრულყოფისათვის.

საქართველოში ფ. ე. ძერჟინსკის პირველი ძეგლი გაიხსნა თბილისში ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკთათვის საზეიმო დღეს — საქართველოს საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების მე-60 წლისთავის იუბილეს დღესასწაულის დღეს.

ელბაქიძის დაღმართისა და სანაპირო ქუჩის შესაყართან მდებარე სკვერში შეიკრიბა ასობით თბილისელი. საპატიო ყარაულის მწყობრში გარინდულან მესაზღვრენი. აქ 1977 წელს ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების ასი წლის აღსანიშნავად საფუძველი ჩაეყარა ძეგლს, რომლის პროექტი შექმნეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა მოქანდაკე ო. მელიქიშვილმა და არქიტექტორმა ვ. დავითაიამ.

დილის 10 საათია. ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე მოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე.

საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია ხსნის საზეიმო მიტინგს.

სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ძეგლს ჩამოსცილდა თეთრი საბურველი და შეკრებილთა წინაშე აღიმართა თითქმის ოთხი მეტრი სიმაღლის გრანიტის სტელა, რომელზეც დადგმულია რევოლუციის მედგარი რაინდის ორმეტრიანი ბიუსტი.

მიტინგის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-მაიორი ნ. შ. მაისურაძე, მატარებლის შემდგენელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ტ. ფოცხვერაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. შ. ციციშვილი, სასაზღვრო ჯარების ზემდეგი ვ. ნ. ბუტენკო და სხვები.

მიტინგის დასასრულს სკვერის ხეივანში საზეიმო მარშით ჩაიარეს მესაზღვრეთა ძეულმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სასულე ორკესტრმა.

ძეგლი ცოცხალი ყვავილებით შეამკეს. (საქინფორმი).

სურათზე: ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლის გახსნა თბილისში.
ზ. კიკვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გვირგვინებით შეამკეს

საქართველოს ჩეკისტები, ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო დამცველები, თავიანთი სამოცი წლის თავის იუბილეს დღეს მოვიდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარ მოედანზე, რათა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად გამოეხატათ სიყვარული და მადლიერება პროლეტარული რევოლუციის ბელადისადმი.

ძეგლის წინ გარინდულა საპატიო ყარაული. მოედანზე ქლერს ბეთჰოვენის „აპასიონატას" მელოდია. შეკრებილნი გვირგვინებით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

იმავე დღეს საქართველოს საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. ინაური, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე.

დიპლომატიური კორპუსის სახელით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავთან დაკავშირებით მოსკოვში აკრედიტებულმა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა მისალოცი ადრესი გაუგზავნეს მას. 25 დეკემბერს ადრესი ლ. ი. ბრეჟნევისათვის მისართმევად კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ბ. ე. სარქისოვს გადასცა დიპლომატიური კორპუსის დუაიენმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში დ. ჟულევმა.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 23 დეკემბერს 76 წლისა გარდაიცვალა საბჭოური მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის თვალსაჩინო სპეციალისტი და ორგანიზატორი

დავით რომანოზის ძე ფანცხავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ქვეყნის მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის თვალსაჩინო სპეციალისტისა და ორგანიზატორის დ. რ. ფანცხავას დაკრძალვისათვის შეიქმნა მთავრობის კომისია.

დაკრძალვა — მუხათგვერდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დ. რ. ფანცხავას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

რევოლუციური მოვალეობის ერთგულება

(დასასრული)

ეს თვისებები სავსებით შეიძლება მივაკუთვნოთ საქართველოს ჩეკისტებსაც. თავიანთ ბიოგრაფიას ისინი იწყებენ 1921 წლის თებერვლის დღიდან, როცა საქართველოში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. ამ ისტორიული მოვლენიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ რევკომის პირველ სხდომაზე მიღებული იყო გადაწყვეტილება საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ. კავშირი აქ ყველაზე მჭიდრო, ორგანულია, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, და ეს აზრი არაერთხელ მოგვიყვანია, ყოველი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მას შეუძლია თავი დაიცვას. სწორედ ამიტომაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მე-60 წლისთავის იუბილეს აღვნიშნავთ სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენების, ღირსსახსოვარი თარიღების გვერდით, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას უკავშირდება.

ჩეკისტთა ძნელი და საშიში შრომის შესახებ ვიცით წიგნების, კინოფილმების, მოთხრობების, შემორჩენილი დოკუმენტების მეშვეობით. ჩვენ ვიცით, თუ რამდენ უძილო ღამეს, აზრისა და ნების რა ტიტანურ დაძაბვას, რა უდიდეს ფიზიკურ ამტანობას მოითხოვს მათგან პროფესია, ეს მუშაობა. ჩვენ ვიცით მათი უმაგალითო ვაჟკაცობისა და გმირობის ამბავი, გვახსოვს ბევრი იმათგანი, ვინც ვერაგ მტერთან სასტიკ ბრძოლაში დაიღუპა. ბევრი რამ შემოგვინახა, გაგვაცნო ისტორიამ, ხალხის მადლიერმა ხსოვნამ.

ბევრი მოვლენა და ფაქტი, ბევრი გმირობა კი ჩვენთვის სრულიად უცნობი დარჩა.

რას იზამ, ესეც თქვენი პროფესიის სპეციფიკაა, და ჩვენ გვესმის, თუ რა განსაკუთრებული ვაჟკაცობაა საჭირო ამასთან. არადა, ერთი საქმეა, როცა პიროვნებას გაბედული საქციელისათვის სახელის მოხვეჭის წყურვილი უბიძგებს, და სრულიად სხვა—როცა გმირობას სჩადის არა სახელისათვის, არამედ იმიტომ, რომ კაცს არ შეუძლია სხვანაირად მოიქცეს — იგი თავის პატრიოტულ, მოქალაქეობრივ მოვალეობას ასრულებს. ასეთი შეგნებული გმირობა, ასეთი თავგანწირვა ხელეწიფება მხოლოდ იმას, ვინც პარტიის, ხალხის უსაზღვროდ ერთგულია, ვინც მზად არის სიცოცხლე გასწიროს სამშობლოსათვის.

სწორედ ასეთი კოლექტიური გმირობა ჩაიდინეს საბჭოთა ადამიანებმა დიდი სამამულო ომის წლებში. როცა ამაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, უდიდეს პატივს მივაგებთ ჩვენს მამაც ჩეკისტებს, სამშობლოს, მშობელი ხალხის ერთგულ შვილებს.

ჩეკისტისათვის ზნეობრივი სიწმინდე, მაღალი პარტიულობა ხასიათის უბრალო პირადი თვისებები კი არა, სავალდებულო პროფესიული მოთხოვნაა. და აქ დაუშვებელია რაიმე შემწყნარებლობა, საჭიროა უმკაცრესი მომთხოვნელობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იყო დრო, როცა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობაში ხდებოდა სერიოზული გადახრები პარტიული პრინციპებიდან, იყო თვითნებობის, უკანონობის ფაქტები. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა შედეგები მოჰყვა ამას.

ჩვენი პარტიის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან მტკიცედ და პატიოსნად დაგმო ეს გადახრები, მტკიცედ და საბოლოოდ აღადგინა ლენინური ნორმები და პრინციპები ამ ორგანოების საქმიანობაში, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში.

ვიცით, რა დიდი მუშაობა გასწია ამ წლებში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობაში ლენინური სტილის, ლენინური ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრებისათვის. და გვინდა დღეს აღვნიშნოთ ის დიდი წვლილი, რომელიც ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში შეაქვთ ჩვენს პარტიასა და მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილ ხელმძღვანელს, გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს. ყველანი გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ პატივცემულ იურა ვლადიმერის ძეს იმ მუდმივი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რომელსაც იგი რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისადმი იჩენს. საკავშირო კომიტეტმა ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს იმისათვის, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებს.

სიამოვნებით აღვნიშნავ იმასაც, რომ საქართველოში მთელ ამ მუშაობას მეთაურობს ამხანაგი ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური, რომელსაც პარტია უკვე სამი ათეული წელია ანდობს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებას კომიტეტის თავმჯდომარის პასუხსაგებ პოსტს. ვიცით, რომ, ამ დამსახურებათა გარდა, მას გამოვლილი აქვს დიდი სამამულო ომი, რომ იგი იყო მებრძოლი გენერალი, სარდლობდა კორპუსს, დაჯილდოებულია ბევრი საბრძოლო ორდენითა და მედლით. ამხანაგი ა. ნ. ინაური დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაშია და ყველანი ჯეროვნად ვაფასებთ მას დიდი გამოცდილებისათვის, პატიოსნებისა და ნამდვილი პარტიულობისათვის.

დღეს ჩვენს პარტიაში, ჩვენს ქვეყანაში თანამიმდევრულად მკვიდრდება კოლექტიური ხელმძღვანელობის მეთოდები, მაღალი ჰუმანიზმი, ადამიანებისადმი ყურადღებიანი, სათუთი დამოკიდებულება. ამის უაღრესად მკაფიო დადასტურება გახდა ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავის დღესასწაული. როგორც ამის გამო გამართულ საზეიმო ღონისძიებათა მონაწილემ, შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ჩვენგანზე ამ იუბილემ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე გრძნობა განიცადა ყველამ, ვინც ამ დღეებში უყურებდა ტელევიზორს, უსმენდა რადიოს, კითხულობდა გაზეთებს. თითოეულ შეხვედრას განსაკუთრებულ განწყობილებას, განსაკუთრებულ ატმოსფეროს მატებდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნა, რომელიც ყოველ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვავითაროთ შემოქმედებითი ვითარება, რომელიც პარტიაში სუფევს და ხელს უწყობს მის ეფექტიან მუშაობას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამხანაგობის სულისკვეთება მაღალ პრინციპულობასთან და საქმიან მომთხოვნელობასთან შეხამებით ხელს უწყობს ჯანსაღ მორალურ-პოლიტიკურ კლიმატს მთელ პარტიასა და ქვეყანაში, მილიონობით საბჭოთა ადამიანის აზრების, მისწრაფებებისა და ინიციატივის უკეთ გაცნობასა და გათვალისწინებას.

ვცდილობთ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაშიც, მთელ რესპუბლიკაში, მისი მართვის ყველა ორგანოში დავამკვიდროთ ასეთივე კეთილმოსურნე, მაგრამ მომთხოვნი ატმოსფერო. ისეთი ატმოსფერო, როცა მუშაობას თითოეულისათვის სრული შემოქმედებითი კმაყოფილება მოაქვს და ამავე დროს თითოეული გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას საქმისათვის. ეს ატმოსფერო მორალური და იდეოლოგიური სიმტკიცის საუკეთესო გარანტიაა. სწორედ ამიტომ მეტად გვახარებს, რომ ნამდვილი პარტიულობის სულისკვეთებით, კერძოდ, მუშაობაში კოლექტიურობით, რომელიც აუცილებლად მაღალ პრინციპულობასაც გულისხმობს, დიდად გამოირჩევა ჩვენი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობა.

დღეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები პარტიის ერთგული თანაშემწეები არიან მისი გენერალური გეზის განხორციელებაში. ამ პასუხსაგებ მუშაობაში ღირსეული ადგილი განეკუთვნებათ საქართველოს ჩეკისტებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია დღენიადაგ გრძნობენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მხარდაჭერას იმ პრინციპულ ბრძოლაში, რომელსაც ვეწევით რესპუბლიკაში ჩვენი სოციალისტური მორალის ანტიპოდების, ნეგატიური მოვლენების, წვრილბურჟუაზიული ობივატელური ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ იმ გარდაქმნებში, მნიშვნელოვან ძვრებში, რომლებსაც მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების საქმეში მივაღწიეთ და რომლებიც დიდად შეაფასა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის ზეიმზე გამოვიდა, უდიდესი როლი განეკუთვნებათ ჩვენი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რომ შემდგომშიც დაუყოვნებლივ აღკვეთთ ყოველ ცდას, რომელთა მიზანია ეკონომიკური, პოლიტიკური ან ზნეობრივი ზიანი მიაყენონ ჩვენს საზოგადოებას, განახორციელებთ გადამწყვეტ ღონისძიებებს ეგრეთ წოდებული „ორნაირი მორალის“ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ შემოგვაპარონ ჩვენთვის უცხო იდეალები და შეხედულებები, ასე რომ ეწინააღმდეგება ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპებს.

დაე, ამ საქმეში თქვენდამი მხარდაჭერა ყოფილიყოს რესპუბლიკის ყველა მშრომელის ერთსულოვანი საზოგადოებრივი აზრი, რომლებსაც მიაჩნიათ: **ჩვენ უნდა დავიცვათ და მოვალენი ვართ კიდეც დავიცვათ ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით მოზარდი თაობა იმ ადამიანთა გამხრწნელი გავლენისაგან, რომელთა პოლიტიკური უმეცრება, ნიჰილიზმი, ავყიობა, წამქეზებლობა და ყოველგვარი ჭორები ხელს აძლევს ჩვენს კლასობრივ მტრებს.**

ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი, როცა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ ლაპარაკობდა, აღნიშნავდა, რომ ასეთი დაწესებულების გარეშე მშრომელთა ხელისუფლება ვერ იარსებებს, სანამ არიან ქვეყნად ექსპლოატატორები. ეს სიტყვები დღესაც განსაკუთრებით აქტუალურია. სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავების პროცესში მკვეთრად მატულობს მსოფლიოში კლასობრივი, იდეოლოგიური ბრძოლა.

დღეს იმპერიალიზმი, საერთაშორისო რეაქცია მიმართავენ ყოველნაირ პროვოკაციას, ყოველნაირ აგრესიულ აქციას, ოღონდ გაიხანგრძლივონ სიცოცხლე. იყენებენ ჩვეულ და აპრობირებულ საშუალებებს — სიცრუეს, ცილისწამებას, სიყალბეს, შანტაჟს, სამხედრო და ეკონომიკურ ბლოკადას, ჯაშუშობას, ტერორიზმს, დივერსიებს, აშკარა ჩარევას, ზოგიერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, მათს საგარეო პოლიტიკაში.

რაკი თავისი ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობის დამტკიცების ყოველგვარი შესაძლებლობა დაკარგა, იმპერიალიზმი ახლა მთელ იმედებს ძირგამომთხრელ იდეოლოგიურ აქციებზე ამყარებს. ბურჟუაზიული პროპაგანდისტული მანქანა ისეა აწყობილი, რომ რადაც უნდა დაუჯდეს, დაამახინჯოს, გააუფასუროს სოციალიზმის იდეები. განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებენ ეგრეთ წოდებულ „სოციოლოგიურ პროპაგანდაზე“ — დასავლური, უპირატესად ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდაზე. ამისათვის დასავლეთის რეაქციონერი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას: პრესას, რადიოს, წიგნებს, კინოფილმებსა და ა. შ. ისინი ცდილობენ თავიანთი მდაბალი მიზნებისათვის გამოფინონ და სპორტიც კი გამოიყენონ.

ასეთ პირობებში თითოეულ მოქალაქეს მოეთხოვება განსაკუთრებული პოლიტიკური სიფხიზლე, განსაკუთრებული გამძლეობა და იდეოლოგიური სიმწიფე.

ყოველივე, რაც მოგახსენეთ, აქტუალურია ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მისი სასაზღვრო მდებარეობის გამო. ეს დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ მცხოვრებს, თითოეულ ჩვენგანს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მეზობლად განლაგებულია აგრესიული ნატოს ბლოკის დიდი სამხედრო ბაზები, რომ უცხოეთის სადაზვერვო ცენტრები ჩვენი რეგიონისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სასაზღვრო ჯარების მესაზღვრე მეომრები — ჩვენი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სახელოვანი წარმომადგენლები, რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირადი შემადგენლობა მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ფხიზლად ეწევიან სამსახურს სამშობლოს სამხრეთ საზღვრებზე.

სამხრეთ საზღვრების დაცვაში ჩვენი სახელმწიფოს საიმედო საყრდენს წარმოადგენენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები, რომლებიც დღენიადაგ სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო გაწვრთნილობას და იმაღლებენ პოლიტიკური მომზადების დონეს.

ზუსტად ასევე უფლება გვაქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, განსაკუთრებული პოლიტიკური სიფხიზლე, ორგანიზებულობა, დარაზმულობა მოვთხოვოთ საქართველოს ყოველ მოქალაქეს.

იმას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მტკიცე კლასობრივი პოზიციებიდან განდგომას, ლიბერალიზმს, ანტისოციალისტურ განწყობილებებსა და გამოვლინებებზე სათანადო რეაგირების უქონლობას, თვალსაჩინოდ მოწმობს ამბები, რომლებიც მრავალი თვის მანძილზე ხდებოდა პოლონეთში. თუ არა სამწუხაროს, მათ სხვანაირად ვერ ვუწოდებთ. პოლონეთის მთავრობა, რომელმაც დროულად არ მიიღო საჭირო ზომები, სათანადო პასუხი არ გასცა ანტისოციალისტურ ძალებს, დღეს იძულებული გახდა მიემართა საგანგებო ხასიათის ღონისძიებებისათვის — ქვეყანაში შემოეღო სამხედრო წესები, რათა დაეცვა ხელყოფისაგან თვით სოციალიზმის საფუძვლები ქვეყანაში, პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა.

პოლონეთის ამბებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში, როგორც ეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, არ შეიძლება იყოს ნეიტრალიზმი და კომპრომისები. აქ საჭიროა დიდი პოლიტიკური სიფხიზლე, აქტიური, ოპერატიული და დამაჯერებელი პროპაგანდისტული მუშაობა, მტრული იდეოლოგიური დივერსიების დროული მოგერიება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონების მტკიცედ დაცვა — ეს არის სახელმწიფოს ჰუმანურობის გამოვლინება, რომ თვით კანონის სიმკაცრეც ჰუმანურია, თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, მშრომელი კაცის ინტერესებს, მიზნად ისახავს სოციალური ბოროტების დათრგუნვას. და, პირიქით, კარგად ვიცით საკუთარი გამოცდილებით, და ეს დაადასტურა მთელმა ჩვენმა რევოლუციურმა პრაქტიკამ, თუ რა სავალალო, ზოგჯერ საშიში შედეგები შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას, ადამიანებს გაუმართლებელმა ლიბერალიზმმა, გაუბედაობამ, ნეგატიურ მოვლენებთან შემრიგებლობამ. ისინი არათუ უპირისპირდება ბოროტებას, არამედ ხელს უწყობს კიდეც მას.

სწორედ ამიტომაც, როცა საქმე ეხება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ძირეულ ინტერესებს, საბჭოთა ადამიანების ღვიძლ ინტერესებს, მათს მომავალს, ჩვენ მხარს ვუჭერთ უაღრეს პრინციპულობასა და სიმკაცრეს კანონის ფარგლებში. დაე, ჩვენს მტრებს ნუ ექნებათ პრინციპულ საკითხებში რაიმე შემწყნარებლობის, რაიმე კომპრომისის იმედი! საბჭოთა კანონებს ზუსტად და განუხრელად დავიცავთ!

ჩვენი აზრით, სწორედ ამით გამოიხატება ნამდვილი სოციალისტური დემოკრატია, რომელიც ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის ფართო უფლებებთან და თავისუფლებებთან ერთად გულისხმობს ყველა მოქალაქის უმაღლეს ორგანიზებულობასა და პასუხისმგებლობას, მკაცრ, რკინისებურ დისციპლინას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეისხამს ხორცს დემოკრატიული პრინციპები არა სიტყვით, არა ცალკეული პოლიტიკოსების წარმოსახვით, არამედ საქმით, პრაქტიკულად.

ორგანიზებულობის ამაღლებაში, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, თითოეულ თქვენგანს, დღენიადაგ იხვეწება მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები, იცვლება თვით მათი დანიშნულება. დღეს მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ისინი სულ უფრო მეტად იქცევიან ჩვენი საზოგადოების მაღალი მორალური სიჯანსაღის, მაღალი მორალური სულისკვეთების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვან ინსტრუმენტად, მშრომელთა შორის სულ უფრო მეტ ავტორიტეტსა და პატივისცემას იხვეჭენ. შესანიშნავი ლენინური ტრადიციებისამებრ, ამ ორგანოებში სამუშაოდ დღესაც ვგზავნით მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს. ესენი არიან დიდად განათლებული, ღრმად პროფესიონალი, მშობლიური პარტიის, საბჭოთა ხალხის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

და რაც უნდა ცდილობდეს დასავლეთის პროპაგანდა ცილი დასწამოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებს, მიაწეროს მას მოგონილი, თვით ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო აპარატის ბუნებისათვის უცხო თვისებები, საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ამ ორგანოების ძირითადი ამოცანაა სოციალიზმის მონაპოვრების დაცვა, ჩვენი წყობილების წინააღმდეგ, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვების იდეოლოგიური დივერსიებისა და პირდაპირი პროვოკაციების მხილება და აღკვეთა.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების კომუნისტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულ მოწინავე რაზმს შეადგენენ. ისინი მუდამ უნდა იყვნენ პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის წინა ხაზზე, მტკიცედ ამხილებდნენ ბურჟუაზიული პროპაგანდის მონაჭორებსა და სიყალბეს ჩვენი წყობილების, ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის შესახებ.

თანამედროვე ანტიკომუნიზმის ერთ-ერთი თავისებურება გახდა იმ სიძნელეებისა და პრობლემების ყოველგვარი გაზვიადება, რომლებსაც ზოგჯერ ჩვენი ქვეყნის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა აწყდება. ცალკეული სიძნელენი და პრობლემები, ამხანაგებო, ჩვენში მართლაც არის და პარტიას არასოდეს არ დაუმალავს და არც უმალავს მათ ხალხს, მუდამ გულახდილ და მართალ ინფორმაციას აწვდის მათ შესახებ კომუნისტებს, ყველა მშრომელს, და ეს არის მისი ძალა. ასეთი სიძნელენი, აღნიშნავს პარტია, ჩვენ წინათაც გვქონია. შესაძლოა ისინი მომავალშიც იყოს. როგორც ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ეს ბუნებრივია ახლის დაბადების დროს, წინსვლის დროს. ჩვენს ადამიანებს სწორად ესმით ჩვენი. სიძნელენი არათუ არ უცრუებენ მათ გულს, არამედ, პირიქით, რაზმავენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ არსებულ დისპროპორციათა დაძლევისათვის, და ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდად მადლობელი ვართ ამისათვის. ასეთი დამოკიდებულება მოწმობს ჩვენი ადამიანების მაღალ მორალურ თვისებებს, მათს უაღრეს პოლიტიკურ მოწიფულობას. და დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ამით ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტური იდეალების დიადი ძალა, ჩვენი საზოგადოების სიმტკიცე და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

მაგრამ ვერ დავივიწყებთ იმასაც, რომ ცალკეული მერყევი პირები ზოგჯერ წამოეგებიან ხოლმე მტრული პროპაგანდის ანკესს. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ დროულად გამოავლინონ ასეთი ადამიანები, არ მისცენ მათ საშუალება საბოლოოდ ჩაეფლონ ანტისაბჭოურობის ჭაობში, დროულად გააფრთხილონ, დროულად შეუსწორონ მათ, დაუბრუნონ საზოგადოებას, მისი სასარგებლო წევრები გახადონ.

აღმზრდელობითი ფუნქციების განხორციელება სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. სწორედ აქ ვლინდება განსაკუთრებული ძალით ჩვენი საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი სისტემის ნამდვილი დემოკრატიზმი და ნამდვილი ჰუმანიზმი. **ჩვენთვის მთავარია არა დასჯა, არამედ პიროვნებაზე ზემოქმედების საბოლოო სოციალური ეფექტი.** თუკი შესაძლებელია დავარწმუნოთ კაცი, დავანახვოთ თავისი ცდომილებანი. თუ არის იმის იმედი, რომ იგი შეიგნებს თავის შეცდომებს, გარდაიქმნება, მაშინ ჩვენ მას ვარწმუნებთ, ვიყოლიებთ, ველით.

მაგრამ, თუ ცალკეულმა პიროვნებებმა საბოლოოდ გადაუხვიეს სწორ გზას, ყურად არ იღებენ არავითარ შეგონებას, თავხედურად თელავენ ფეხქვეშ საბჭოთა კანონმდებლობას, მიმართავენ პროვოკაციებს, ჩვენი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოების, ვალია ასეთ ცალკეულ განდგომილებს მთლიანად დაატეხონ თავს ჩვენი სამართლიანი და ჰუმანური კანონების მთელი მსახვრელი ძალა. დანაშაულს უცილობლად უნდა მოჰყვეს სასჯელი.

საბჭოთა ხალხის მონოლითური მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, როგორც ერთ-ერთი ქვაკუთხედი, ეყრდნობა ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. სწორედ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობა და ძმობა გახდა სოციალისტური გზით ჩვენი გულდაჯერებული წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობა, თითოეული ერის, მათ შორის ქართველი ერის, საქართველოში მოსახლე ყველა ხალხის, უმაგალითო ეკონომიკური და კულტურული აყვავების გადამწყვეტი ფაქტორი.

ამ პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი ყურადღება იმ დიდი ძვრების უმნიშვნელოვანესი პირობაც არის, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს ეკონომიკა, აქ მცხოვრებ ხალხთა კულტურა ვითარდება მტკიცედ, სწრაფი ტემპით. ეს ღირსეულად აღნიშნეს და შეაფასეს ჩვენმა პარტიამ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. კიდევ უფრო შესანიშნავი პერსპექტივები ესახება ჩვენს რესპუბლიკას მეთერთმეტე ხუთწლედში.

და გასაკვირი არ არის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი, მათ შორის საბჭოთა საქართველოს ყველა მოქალაქე, წმინდად იცავს და უფრთხილდება სოციალიზმის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვარს — ხალხთა ლენინურ მეგობრობას. მათი ერთსულოვანი ნება აისახა სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხლებით, რომელთა თანახმად ყველა მოქალაქე ვალდებულია განამტკიცებდეს ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების მეგობრობას, ხოლო რასობრივი თუ ეროვნული განსაკუთრებულობის, მტრობისა თუ უგულებელყოფის ქადაგება კანონით ისჯება.

საბჭოთა ხალხების ერთიანობა ყველაზე დამაჯერებლად ადასტურებს ჩვენი იდეალების მაღალ ზნეობრივ და პოლიტიკურ ძალას, რომელმაც შეაკავშირა ადამიანები მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. ცხადია, ეს იწვევს სოციალიზმის მტრების უსაზღვრო სიძულვილს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ეროვნული შუღლი დათესონ ხალხებს შორის.

ეროვნული საკითხი რთული და დელიკატური საკითხია. იგი განსაკუთრებულ ტაქტს, განსაკუთრებულ სიმტკიცესა და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. მაგრამ დელიკატურობა სულაც არ ნიშნავს უპრინციპობას. როცა ამას გარემოება მოითხოვს, იგი არ უნდა გვიშლიდეს ხელს, გამოვიჩინოთ გაბედულება, უაღრესად მტკიცედ წინააღვუდგეთ შოვინიზმისა და ნაციონალიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ეროვნული განსაკუთრებულობის ყოველგვარ გამოვლინებას. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის — ლენინური დაცვა ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ჩვენ კიდეც დავიცავთ მას ყოველგვარი ხელყოფისაგან, დავიცავთ საბჭოთა კანონებზე, ჩვენი სახელმწიფო აპარატის ძალაზე დაყრდნობით.

ჩვენი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების დახასიათებისას, როცა მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების საკითხებს ვეხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარი მოთხოვნა, რომელსაც მათ ვუყენებთ, ეს არის მაღალი პარტიულობა. ჩვენ ვთქვით, რომ დიდი დამსახურების, დიდი და მნიშვნელოვანი საქმეების გარდა ამ ორგანოების საქმიანობაში იყო ხარვეზებიც, სერიოზული შეცდომებიც. ამას ვუბრუნდებით რათა ხაზგასმით აღვნიშნოთ: ეს ხარვეზები, ეს შეცდომები იყო იქ, სადაც ივიწყებდნენ პარტიულობას, ისინი, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენდა იქ, სადაც ზოგიერთი უგულებელყოფდა პარტიის ხელმძღვანელ როლს, თმობდა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს.

მხოლოდ ღრმა პარტიულობა, მხოლოდ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და წესების, ხელმძღვანელობის ლენინური სტილის თანამიმდევრული დაცვა გვაძლევს საფუძველს დიდი ეფექტის, ყოველი საქმის ნამდვილი წარმატების იმედი ვიქონიოთ. ეს მოთხოვნა დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალურობას.

სწორედ ამიტომ ვამბობთ, ამხანაგებო, ასეთი კმაყოფილებით, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები მუდამ და ყველაფერში ცდილობენ დაიცვან ჩვენი პარტიის ეს ფუძემდებელი მოთხოვნები, იხელმძღვანელონ პარტიულობის ლენინური პრინციპებით.

იმისათვის, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში იმუშაო, ნამდვილი ჩეკისტი გახდე, საჭიროა, როგორც ეს არაერთხელ გვითქვამს, განსაკუთრებული სულიერი თვისებები. ჩვენში მრავლად არიან ისეთნი, ვისგანაც შეგვიძლია ვისწავლოთ. ესენი არიან ჩვენი ჩეკისტების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, რომელთაგან საუკეთესონი დღეს ამ დარბაზში სხედან. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თუმცა გარეგნულად თვალში საცემი არ არის, მაგრამ საზოგადოებისათვის უაღრესად საჭიროა თქვენი კეთილშობილური შრომა, ძვირფასო ამხანაგებო, რომლითაც ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში. და თუ სიტყვა ჩეკისტი საბჭოთა ადამიანების გულწრფელ პატივისცემასა და ჩვენი მტრების სიძულვილსა და შიშს იწვევს, დაე, კიდევ უფრო გაიზარდოს თქვენდამი საერთო სახალხო სიყვარული და მადლიერება და, დაე, ნუ შენელდება სოციალიზმის მტრების სიძულვილი.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ და თქვენი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ყველა მუშაკს, ოჯახებს, თქვენს მეუღლეებს, რომლებიც იზიარებენ თქვენი ძნელი და სახიფათო პროფესიის ყველა სიძნელეს, ყოველივე საუკეთესო ვუსურვო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, ყველა ჩვენი კომუნისტების სახელით. გვერწმუნეთ, საბჭოთა საქართველოს მშრომელები დიდ პატივს სცემენ და ღირსეულად აფასებენ თქვენს ყოველდღიურ გმირულ შრომასა და სახელოვან საქმეებს!

სამშობლოს ფარი და მახვილი

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

ჩეკისტები! დღესაც ასე ამბობენ იმათზე, ვინც ლეგენდარული საგანგებო კომისიის ფუძემდებელთა სახელოვან ტრადიციებს განაგრძობს. იგი იშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო ძველი სამყაროს ძალების წინააღმდეგ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის უმწვავესი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, და მას შემდეგ ჩეკისტები საიმედოდ დგანან რევოლუციის ისტორიულ მონაპოვართა სადარაჯოზე.

საბჭოთა ხალხი სრულიად საფუძვლიანად უწოდებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს სამშობლოს ფარსა და მახვილს. და სწორედ ამ სიმბოლომ — ფარმა და მახვილმა დაამშვენა საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის სცენა, სადაც 25 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში არიან რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, შრომითი კოლექტივებისა და შემოქმედებითი კავშირების, ადმინისტრაციული ორგანოების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების დელეგაციები, ვეტერანი ჩეკისტები.

დინამიკებში გაისმის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისადმი.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი ბ. ე. სენტიურინი.

საზეიმო სხდომას ხსნის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ტაშის გრიალში სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან. (ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა ქვეყნდება გაზეთის დღევანდელ ნომერში).

მოხსენება საქართველოს ჩეკისტთა მიერ განვლილი სახელოვანი გზის, მათი დღევანდელი დაძაბული შრომის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ნ. ინაურმა. მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის არმიის გენერლის ი. ვ. ანდროპოვის მისალმება რესპუბლიკის ჩეკისტებისადმი და თქვა:

— ჩვენი საზეიმო სხდომა იმართება ჩვენი დროის დიდი მოვლენის შემდეგ. ახლახან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს შეუსრულდა 75 წელი. ჩვენს ქვეყანაში უსასრულო ნაკადად მოდიოდა მისალმებანი დედამიწის ყველა კონტინენტიდან. მათში გამოიხატა დიდი პატივისცემა საბჭოთა ხალხის ერთგული შვილისადმი, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლის, თანამიმდევარი მარქსისტ-ლენინელის ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 60 წლის თავი განუყრელად არის დაკავშირებული 1921 წლის 25 თებერვლის გამარჯვების დღესთან. სწორედ ამ დღეს მოსკოვში, კრემლში გაიგზავნა ისტორიული დეპეშა, რომელიც საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას იუწყებოდა. თითქმის იმავე დროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევკომმა თავის პირველ სხდომაზე 14 საათსა და 28 წუთზე დაადგინა დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ საგანგებო კომისიის ორგანიზაციას. ამ გადაწყვეტილებით რევკომმა გამოავლინა თავისი პოლიტიკური მოწიფულობა, ლენინის იმ სიტყვების ღრმა გაგება, რომ რევოლუციის დაცვის საჭიროება გამარჯვებული პროლეტარიატის ყველაზე მნიშვნელოვანი, უპირველესი ამოცანაა.

საქართველოს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ახალი ფურცელი გადაშალა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. რესპუბლიკა გამოვიდა ნამდვილი ეროვნული განახლების ფართო გზაზე, მაგრამ მან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულმა რუსეთის პროლეტარიატმა, რომელიც ახორციელებდა პარტიის ლენინურ კურსს, ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების დაჩქარებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების კურსს, უდიდესი გაჭირვებისა და მსხვერპლის მიუხედავად, დახმარების ხელი გამოუწოდა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს.

დასაწყისი იოლი არ ყოფილა. რესპუბლიკის კლასობრივი მტრები დამარცხებას არ შეურიგდნენ და ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული გაბატონებული მდგომარეობა. ისინი სარგებლობდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით, რომელიც მატერიალურ დანახარჯებს არ იშურებდა, რათა საქართველო გამოეგლიჯა თავისუფალი მოძმე ხალხების ოჯახიდან და თავის დანამატად ექცია იგი. ამ პირობებში საჭირო იყო მშრომელი მასების განსაკუთრებული შეკავშირება, დიდი რევოლუციური სიფხიზლე, რესპუბლიკის ყველა პარტიული და სახელმწიფო ორგანოს და განსაკუთრებით ჩეკისტთა აპარატის დაძაბული მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ამოცანად ისახავდნენ არა მარტო ემხილებინათ მტრების ზრახვები, არამედ დროულად გაეუვნებელყოთ ისინი. ამას ხმარდებოდა რესპუბლიკის ჩეკისტთა ძირითადი მეცადინეობა და ეს ამოცანა, მათი შეუპოვარი შრომისა და გმირული შემართების შედეგად, წარმატებით წყდებოდა.

დიდი სამამულო ომის წლებში ფაშისტური ჯარების საბრძოლო მოქმედებასთან შეხამებული იყო ჩვენს ზურგში სპეციალურად გაწვრთნილი აგენტურის მასობრივი შემოგზავნა. კავკასიისათვის ისტორიული ბრძოლის დროს უშუალოდ საქართველოში შემოგზავნეს ბევრი საჯაშუშო-დივერსიული ჯგუფი. ისინი გამოავლინეს ამბროლაურის, მახარაძის, ოჩამჩირის, ორჯონიკიძის, ბოლნისის; თელავის და სხვა რაიონებში. ჩეკისტები, სამხედრო კონტრდაზვერვის მოქმედებდნენ ისევე მტკიცედ და თავდადებით, როგორც ჩვენი გმირული არმიის მებრძოლები.

ომის შემდგომ პერიოდში წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსის გამო მკვეთრად გამწვავდა საერთაშორისო ვითარება. მათი დაზვერვები, სპეცსამსახურები აწყობენ პროვოკაციებს საბჭოთა ჯარებისა და წარმომადგენლობების წინააღმდეგ საზღვარგარეთ, გზავნიან აგენტებს ჯაშუშობისა და სხვა ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის. ამავე მიზნით იყენებენ სხვადასხვაგვარ ლეგალურ შესაძლებლობებს, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო გაცვლის, ტურიზმის, მეცნიერული კავშირურთიერთობის გაფართოებასთან დაკავშირებით. ამის მეოხებით, რომ თავდადებით მუშაობენ რესპუბლიკის ჩეკისტები, რომლებიც ეყრდნობიან პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოსახლეობის ფართო ფენების დახმარებასა და მხარდაჭერას, ომის შემდგომ პერიოდში გამოავლინეს, გააუვნებლეს საქართველოს შემოგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ნატოს ბლოკში შემავალი სხვა ქვეყნების აგენტები.

საქართველოს ჩეკისტები დღესაც თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ დროულად გამოავლინონ და ჩაშალონ იმპერიალიზმის სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი ზრახვები, საიმედოდ უზრუნველყონ სამშობლოს უშიშროება. ისინი ზრდიან პოლიტიკურ სიფხიზლეს, ყოველმხრივ განამტკიცებენ კავშირს მშრომელებთან, სრულყოფენ თავიანთ პროფესიულ ოსტატობას.

60 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ბრძოლის დიდი და ძნელი გზა განვლეს. პირველი ჩეკისტები შეცვალეს სახელმწიფო უშიშროების მუშაკთა ახალმა თაობებმა, მათ გადაეცემათ მუშაობის მოწინავე გამოცდილება და საუკეთესო ტრადიციები. რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებსაც კარგად მომზადებული კადრები ჰყავთ, შეძლეს უკანასკნელ წლებში, მოეწყოთ მთელი რიგი წარმატებული ოპერაციები უცხოეთის დაზვერვების წინააღმდეგ, აღეკვეთათ ცალკეული მტრული აქციები. მიღწეული შედეგები შესაძლებელი გახდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმმართველი ხელმძღვანელობის შედეგად.

საქართველოს ჩეკისტებს, რომლებიც აჯამებენ განვლილი გზის შედეგებს, შეგნებული აქვთ, რომ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. მათ ესმით, რომ საჭიროა მთელი საქმიანობის დონის შემდგომი ამაღლება და ამიტომ თავიანთ მთავარ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რაც ხვალ უნდა გააკეთონ. ხვალინდელ დღეს ისინი ეგებებიან იმ მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულნი, რომელიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობას მიეცა სკკპ XXVI ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი რესპუბლიკის ჩეკისტები კვლავაც ბეჯითად იშრომებენ, რათა აგრესიული იმპერიალისტური ძალების ვერავითარმა პროვოკაციამ ვერ შეუშალოს ხელი კომუნიზმისაკენ ჩვენი საზოგადოების წინსვლას.

— ჩვენ ყოველ ღონეს ვი… მართ, რათა ბასრი იყოს ჩვენი მახვილი, ფარი კი საიმედო. ჩვენი ვალდებულება, ეს ჩვენი ფიცია საბჭოთა ხალხის წინაშე — თქვა დასასრულ ამხ. ა. ნ. ინაურმა.

იუბილარებს მიესალმნენ აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-მაიორი ბ. მ. გუსეინოვი, სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პოლკოვნიკი ი. მ. ოლოვიანიკოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ბ. ე. სენტიურინი, თბილისის ფოლ… თუჯსასხმელი ქარხნის მეკო…თა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი გ. … კურტანიძე, საქართველოს … პროკურორი ა. მ. ბარაბაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. ა. ლ…დია, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი ვ. ი. შადური, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ორჯონიკიძე.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი. (საქინფორმი).

თითოეულის გულამდე

— **ლ. ი. ბრეჟნევის** ახალი წიგნის „მოგონებების“ განხილვა თითოეულ ჩვენგანს დაეხმარა უფრო ღრმად გაეაზრებინა ჩვენი პარტიის და სახელმწიფოს ხელმძღვანელის ამ შესანიშნავი ნაწარმოების არსი. კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლები მჭიდროდ უკავშირდებოდა ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის მეცნიერულ პრობლემებს. ახლა ამოცანა ის არის, რომ თითოეული მსმენელის გულამდე მივიტანოთ ის აზრები, რომლებმაც ჩვენ, პროპაგანდისტები გაგვამდიდრა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს „საქსახსოფლტექნიკის“ თიანეთის რაიონული გაერთიანების ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელმა ჯუმბერ ბაიაშვილმა. იგი მონაწილეობდა ლ. ი. ბრეჟნევის ახალი ნაწარმოებისადმი მიძღვნილ პროპაგანდისტთა რეგიონალურ კონფერენციაში, რომელიც 24 დეკემბერს მოეწყო თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურმა სახლმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან ერთად.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის „მოგონებების“ წარუვალი მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში მუშამ და მეცნიერმა, ჟურნალისტმა, პარტიულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა. ლენინური პარტიის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების ისტორიულ მოვლენებთან განუყრელად დაკავშირებული დიდი ცხოვრების მატიანე უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ახალ ნაწარმოებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გ. ქვანიამ. „მოგონებებში“ აღბეჭდილი მუშის სახის შესახებ ილაპარაკა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწემ ვ. გეგეშიძემ. „ლ. ი. ბრეჟნევი ქალის, როგორც დედის როლის, მისი კეთილშობილური შრომის შესახებ“ — ასეთი იყო მწერალ მ. ბარათაშვილის გამოსვლის თემა. იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე გაამახვილა პროპაგანდისტთა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგემ დ. კიკნაძემ. კონფერენციაზე მოსმენილ ამ და ყველა სხვა გამოსვლას მკაფიოდ გასდევდა აზრი, რომ ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებები“, რომელიც შინაარსობრივად წინ უძღვის მის ტრილოგიას „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“, — უდიდეს სულიერ საზრდოს აძლევს პროპაგანდისტებს, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მებრძოლს მათ მუშაობაში მშრომელთა კომუნისტური აღზრდისას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ძ. შარ…ვა. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

მგზნებარებით, რუდუნებით...

პარტიული დავალება, პასუხისმგებლობით ზრუნვა მის შესრულებაზე, — ეს კომუნისტის -ერთი უმნიშვნელოვანესი საპროგრამო და წესდებო მოთხოვნაა.

ყველასი და ყველაფრის გამოყენება, ყველასი და თითოეულის დასაქმება ვ. ი. ლენინს ორგანიზატორული ხელმძღვანელობის აქსიომად მიაჩნდა.

პარტიულ დავალებას ასრულებდა რევოლუციონერთა პირველი თაობა, როცა ამხობდა თვითმპყრობელობას და საფუძველს უყრიდა ჩვენი პლანეტის პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს.

პარტიულ დავალებას ასრულებდნენ კომუნისტები, რომლებმაც დიადი ხუთწლედების მანძილზე გამოჭედეს ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერება.

პარტიული დავალებით გულანთებული ჩვენი მამაცი მეომრები მუსრავდნენ ფაშისტთა ურდოებს და ათავისუფლებდნენ მსოფლიო ხალხებს.

ასე ვრცელი და უკიდეგანოა მისი ასპარეზი.

ვიწრო გაგებით პარტიული დავალებაა ის, რომელსაც კომუნისტი უშუალოდ იღებს პირველად ორგანიზაციაში კრების, პარტბიუროს, პარტკომის გადაწყვეტილებით...

ფართო გაგებით პარტიულ დავალებას კომუნისტი ასრულებს ყოველთვის, როცა დროის მოთხოვნათა შესაბამისად, საკუთარი გულის კარნახით სახარგებლო საქმეს შეეჭიდება და მთელ შესაძლებლობას საზოგადოების კეთილდღეობას მოახმარს.

კომუნისტმა ჩამორჩენილ უბანს მიაშურა, ცდილობს მოწინავეთა დონეზე აიყვანოს იგი. კომუნისტი შეფობს ახალგაზრდებს, დაუზარელად გადასცემს მათ მდიდარ გამოცდილებას, უკვალავს დიდი ცხოვრების გზას.

კომუნისტმა მიზნად დაისახა არ დასჯერდეს მიღწეულს, განუწყვეტლივ გააუმჯობესოს რეკორდები, ახალი მონაპოვრებით გაამდიდროს მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი, დიდება და სახელი მოუხვეჭოს პარტიას, სამშობლოს, ხალხს...

ყოველივე ეს, რასაკვირველია, შეიძლება მივიჩნიოთ პარტიული დავალების შესრულებად, რადგან კომუნისტი უბრალოდ მოვალეობას კი არ იხდის, არამედ პარტიული მგზნებარებით იღვწის თავის უბანზე, თავდადებით ემსახურება სახალხო საქმეს, განამტკიცებს თავისი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას.

სამოქმედო სარბიელი კი, როგორც ყოველთვის, ვრცელი და ამოუწურავია. იგი ფართოა განსაკუთრებით დღეს, როცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ეს-ეს არის დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმმა საფუძვლიანად გააანალიზა პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დღემდე გაწეული მუშაობა, გამოავლინა ხარვეზები, დასახა ეკონომიკის მართვის სრულყოფის, ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის გაუმჯობესების, არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრის გადაუდებელი ამოცანები.

და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ კომუნისტს გულთან ახლოს მიჰქონდეს საქვეყნო და სახალხო საზრუნავი, მედგრად იდგეს მისთვის განკუთვნილ საგუშაგოზე, მთელი მონდომებითა და რუდუნებით აჰრულებდეს პარტიულ დავალებას, საქმით განამტკიცებდეს ლენინური პარტიის წევრის დიად და საპატიო სახელს.

შეგიძლია — კომუნისტო, გევალება — კომუნისტო, გააკეთე — კომუნისტო!

მეტი ყურადღება ახალგაზრდას!

პარტიის საჩხერის რაიკომი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას, აკონტროლებს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და არჩევითი პარტიული ორგანოების საქმიანობას კომუნისტების მიერ პარტიულ დავალებათა დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის, მათი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებისათვის.

ამგვარი მუშაობის შედეგია ის, რომ, მაგალითად, საჩხერის მევენახეობისა და კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები მზრუნველობით ეკიდებიან კომუნისტებისათვის პარტიული დავალების სწორ განაწილებას, მხედველობიდან არ რჩებათ ახალგაზრდა კომუნისტები, ეხმარებიან მათ დავალებათა შესრულებაში, უნერგავენ ორგანიზატორულ და პოლიტიკური მუშაობის ჩვევებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა პირველადს ორგანიზაციაში როდია შექმნილი ურთიერთმომთხოვნელობისა და პრინციპულობის ამგვარი ვითარება. მაგალითად, „საქკოოპმრეწვის" სასურსათო კომბინატის პარტორგანიზაცია ჯეროვნად არ ზრუნავს კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, დავალებები უპირატესად ფორმალურია, ხელს არ უწყობს პარტიის წევრების იდეურ წრთობას. ზერელედ ეკიდებიან პარტიულ დავალებების შესრულებას ახალგაზრდა კომუნისტები ა. გულიაშვილი, ბ. აბრამიშვილი და ქ. ხვედელიძე. განსაკუთრებით დასანანია ის, რომ ა. გულიაშვილი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანია და მას, ცხადია, განსაკუთრებით ბევრი მოეთხოვება.

„საქკოოპმრეწვის" საწარმოო კომბინატის ახალგაზრდა კომუნისტ ა. გოგატიშვილს და პარტიის წევრობის კანდიდატ გ. გაბაძეს აგიტატორობა აქვთ დაკისრებული, მაგრამ ისინი არაფერს არ აკეთებენ ამ უაღრესად პასუხსაგებ დავალების შესასრულებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ქმედით კონტროლს არ ახორციელებს სასჯელდადებული კომუნისტებისათვის დავალების მიცემისა და მათი შესრულების ყოველდღიური კონტროლისათვის. მაგალითად, საკოლმეურნეო სამშენებლო საბჭოს პარტიული ორგანიზაციის 25 კომუნისტიდან პარტიული სასჯელი აქვს ოთხ კომუნისტს, მაგრამ პარტბიუროსა და მისი მდივნის ა. ჭილაძის გულგრილობის გამო ერთხელაც არ მოუსმენიათ ამ კომუნისტების ინფორმაცია, თუ როგორ ასწორებენ ჩადენილ შეცდომებს. შეიძლება ითქვას, რომ პარტბიურომ ეს საქმე თვითდინებაზე მიუშვა, არ ეხმარება სასჯელდადებულ კომუნისტებს, არ აძლევს მათ მუდმივ და ერთდროულ დავალებებს, არც ცდილობს გააქტიურონ ისინი.

საირხის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის სხდომებზე არ ისმენენ ახალგაზრდა კომუნისტების ანგარიშებს პარტიის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. მიმდინარე წელს პარტიულ კრებაზე ერთხელაც არ უმსჯელიათ აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში მათ ჩაბმაზე. სწორედ ამიტომ არის, რომ ახალგაზრდა კომუნისტები კარგად ვერ ერკვევიან ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, პარტიული მშენებლობის საკითხებში, სუსტი წარმოდგენა აქვთ კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებზე, ზუსტად ვერ განსაზღვრავენ თავიანთ ადგილს საყოველთაო შრომის ფერხულში.

პარტიის საჩხერის რაიკომმა დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, იმისათვის, რომ პარტიული დავალება ნამდვილად იყოს კომუნისტების წრთობის სკოლა.

ლ. შიოშვილი.

პასუხები შეკითხვებზე

დ. გოცირიძე და თ. მაისურაძე (თბილისი), ა. ჭანიშვილი (ბათუმი), ი. გველესიანი (მცხეთა) გვეკითხებიან:

□ □

რა წესით ეძლევა კომუნისტს დავალება?

კომუნისტს დავალება შეიძლება მიეცეს პარტიული კრების, პარტიული კომიტეტის (ბიუროს) გადაწყვეტილებით. პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანს უფლება აქვს ამა თუ იმ კომუნისტს ოპერატიული წესითაც დაავალოს რაიმე. ზემდგომ პარტიულ ორგანოებს ხშირად უხდებათ ხოლმე კომუნისტთა ჩაბმა სხვადასხვა პარტიული თუ სახელმწიფოებრივი საკითხების შესწავლაში. ამ დავალებათა კეთილსინდისიერად შესრულება საპატიოა არა მარტო კომუნისტისათვის, არამედ მთელი პარტიული ორგანიზაციისათვისაც.

თავისუფლდებიან თუ არა პარტიული დავალებებისაგან ის კომუნისტები, რომლებიც დაუსწრებლად სწავლობენ?

დავალებათა განაწილებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სწავლება ინსტიტუტში, ტექნიკუმში, სალამოს სკოლაში... პარტორგანიზაცია, ჩვეულებრივ, დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ კომუნისტებს ისეთ დავალებებს აძლევს, რომლებიც არ შეუშლის ხელს სწავლაში. რა თქმა უნდა, ზოგჯერ გარკვეული ვადით, თუკი აუცილებელია, პარტორგანიზაციას შეუძლია გაათავისუფლოს კომუნისტი საზოგადოებრივი მუშაობისაგან. საერთოდ კი, სწავლებაში ჩაბმული კომუნისტებიც არ უნდა მოსწყდნენ თავიანთი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებას.

როგორ უნდა შემოწმდეს პარტიული დავალების შესრულება?

საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს კომუნისტი მიცემულ დავალებას, შეიძლება განიხილონ პარტკომის (პარტბიუროს) სხდომაზე ან პარტიულ კრებაზე. საჭიროებისდა მიხედვით, პარტიულ კრებებზე კომუნისტებს უნდა მოხსენდეთ დავალებათა შესრულების მიმდინარეობა: კარგი იქნება, თუ განსაკუთრებით თავგამოჩენილ, პარტიულ დავალებათა კეთილსინდისიერ შემსრულებლებს წავახალისებთ: მათ შესახებ ვიტყვით კრებაზე, გამოვაქვეყნებთ გაზეთში, შევიტანთ საპატიო წიგნში ან დაფაზე.

ლიანა ბოჭორიშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ორჯონიკიძის სახელობის შახტში მოვიდა სამუშაოდ. ჯერ შახტის ქიმიურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა, ახლა კი საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის" სასწავლო-საკურსო კომბინატის კადრების მომზადების ინჟინერია.

თანამოსაქმეებმა ენერგიული ახალგაზრდა სკკპ რიგებში მიიღეს. ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ ლიანა ბევრ სერიოზულ დავალებას უნარიანად გაუძლებოდა, ამიტომ თამამად ანდვეს ყოველთვიური ორგანოს „მეშახტის" რედაქტორობა. შვიდი წელია ლ. ბოჭორიშვილი კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას ხელმძღვანელობს.

სურათზე: ლ. ბოჭორიშვილი (მარცხნიდან მეორე) და რედკოლეგიის წევრები (მარცხნიდან) ნ. აშოთია, რ. მაჭავარიანი, გ. ბოცვაძე, გ. ბოჭორიშვილი გაზეთის მორიგ ნომერზე მუშაობენ.

ს. სოფრომაძის ფოტო.

კომუნისტმა დავალება მიიღო...

განსჯა, გამოცდილება, პრობლემები

აქმე ყველასათვის მოიძებნება

ილისის ჩაის საწონი ფაბრი- პარტიული ორგანიზაცია 75 წევრსა და 4 წევრობის კა- ტს აერთიანებს. წამყვან როებსა და ობიექტებზე შე- ია 5 პარტიული ჯგუფი. ეს, ქმა უნდა, დიდი ძალაა. თა- შეიძლება ითქვას, რომ ფაბრიკის კოლექტივის ბო- ოინდელ წარმატებებში ნელოვანი წვლილი მიუძღ- აქტიურ კომუნისტებს. მაგრამ ათეველი ჯერ კიდევ ბევრი სწორედ ეს არის ჩვენი ი საზრუნავი და ამ მიზნით ებთ პარტიული მუშაობის სხვა ფორმას. როგორც დამ გვიჩვენა, ამის ერთ- კარგი საშუალებაა კომუნი- თვის პარტიული დავალებ- მიცემა და მათი შესრულების ემატური კონტროლი.

ვენს ორგანიზაციაში 59 ნისტს აქვს მუდმივი პარტი- დავალება. აქვე უნდა ით- ჩვენთვის თვითმიზანი კი არ , რომ კომუნისტებს ჰქონ- დავალება. ამ საკითხს გან- რებული ყურადღებით ვეკი- თ. ამ დროს, უწინარეს ყო- ა, ვითვალისწინებთ საწარმოს მე მდგომ ამოცანებს, კომუნი- უნარსაც—შეძლებენ თუ არა შესრულებას. სწორედ ამის ალისწინებით ოცამდე კომუ- არჩეულია პარტბიუროს ებად და პარტჯგუფორგებად, ავშირისა და პროფკავშირთა კომიტეტების შემად- ლობაში, 16 — ადმინისტრა- საქმიანობისადმი პარტიული როლის კომისიებში, 14 — ტინფორმატორი და აგიტა- , 8 — ლექტორი, დანარჩე- ამხანაგები კი ერთდროულ ალებებს ასრულებენ.

ვყავს შრომის ვეტერანებიც, ახურებულ პენსიაზეა 5 კო- ნისტი, რომელთა დავალებებს აკუთრებული სიფრთხილით ღებით, ზოგჯერ კი დროებით ვალებოდაც ვტოვებთ. დავა- ლთა განაწილებისას პარტბიუ- ცდილობს, რომ ყველა კომუ- ნი აქტიურად მონაწილეობდეს განიზაციის პრაქტიკულ ცხოვ- აში.

ბევრი კომუნისტი უშუალოდ ჩაბმული წარმოების ეფექ- ობის და პროდუქციის ხარის- ამაღლების, შრომის მეცნი- ლი ორგანიზაციის, გეგმების რულების, ნედლეულისა და მხარე მასალების ეკონომიის, ლი ტექნიკისა და შრომის მო- ავე მეთოდების დანერგვის, სა- და შრომის დისციპ- ის განმტკიცებისათვის ბრძო- . ამ ხასიათის პარტიული ალებების შესრულებაში კარგ ეგებს მიაღწიეს იმ კო- ისტური შრომის ბრიგადებმა, მელთაც კომუნისტები ა. ივა- შვილი, ი. ფირანიშვილი და რ. მსაძე ხელმძღვანელობენ. ნი შრომობენ დევიზით „ხუთ- ედი — ოთხ წელიწადში!" მა- ბრიგადებმა 1981 წლის გეგ- დიდი ოქტომბრის სოცია- ტური რევოლუციის 64-ე სთავისათვის შეასრულეს და მომავალი წლის ანგარიშში ობენ. მათ მაგალითს ბაძავს ჩენი 6 კომუნისტური შრო- ბრიგადა, წარმოების 335 კო- სტური შრომის დამკვრელი, მტკიცე გარანტია მოგვცა 81 წლის დავალებების ვადამდე რულებისა.

პარტიული ბიურო შემოქმე- ბითად იყენებს ა. ივანიშვილის, ფირანიშვილის, რ. ლომსაძის ნავე გამოცდილებას და უწყობს მის წარმოებაში ერგვას. ამ დავალებას კარგად ულებენ წარმოების მოწინავე ები — კომუნისტები, ჩაის ფუთავი ავტომატის მემანქა- ბი ნ. ტურძელაძე, შ. ბალანა- ლი, მ. ბეჟურაშვილი, ა. ჩიხ- ე და სხვები. მათ პარტბიურომ ოგებლობაც დაავალა, რა- ისინი პირნათლად ასრულებენ წარმოებისათვის ახალგაზრდა ლიფიციურ მუშებს ამზადებენ. ულისხმოა ისიც, რომ ა. ჩიხ- ამასთანავე პარტიის გლდა- რაიკომის და თბილისის სა- ქო კომიტეტის სარევიზიო ისიის წევრია, ხოლო ნ. ტუ- ლაძე — ჩაების მრეწველობის კთა პროფკავშირის რესპუ- კური კომიტეტის პრეზიდიუ-

პარტიული დავალების შეს- ლების კარგ მაგალითს იძლევა მარაგება-გასაღების განყოფილების უფროსის მოადგილე ქ. ქურდაძე, რომელიც უკვე მეხუთე წელია უმაღლესი რგოლის თეორიული სემინარის პროპაგანდისტია. შარშანდელ სასწავლო წელს მოპოვებული კარგი შედეგებისათვის იგი პარტიის გლდანის რაიკომის და თბილისის საქალაქო კომიტეტის საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, ავტომატური სასწორების უფროსი ოსტატი კომუნისტი შ. ქუმსიაშვილიც უკვე მესამე ათეული წელია მუშაობს ამ მეტად პასუხსაგებ უბანზე და საქმეც კარგად აქვს დაყენებული. სამი წლის განმავლობაში მას ზედიზედ ირჩევდნენ ყველაზე დიდი და წამყვანი — ამწონ-გამფორმებელი საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივნად, წლეულს კი იგი კვლავ აირჩიეს ამავე საამქროს მეორე ცვლის პარტჯგუფორგად. ამასთანავე იგი კარგი დამრიგებელია.

ჩვენი კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობაში. პასუხისმგებლობით ეკიდება პარტიული დავალების შესრულებას პროდუქციის ხარისხის პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ე. ღვინიაშვილი. მისი ხელმძღვანელობით ყველა საამქროში რეგულარულად ეწყობა რეიდები, რომელთა შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებანი პარტიული ბიუროს და ადმინისტრაციის მკაცრი მსჯელობის საგანი ხდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კომუნისტი ე. ღვინიაშვილი ბოლომდე იღვწის ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ წარმოების კულტურის პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე მ. ხელაძე და პოლიტინფორმატორი ი. მალაზონია.

პარტბიურო თავის ყოველდღიურ მუშაობაში ცდილობს ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს კომუნისტებს, რომლებიც ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიებში არიან გაერთიანებული. ამ მიზნით რეგულარულად ეწყობა შეხვედრები კომისიათა წევრებთან, თათბირ-სემინარები, გამოცდილებისა და აზრთა გაზიარება. ყველაფერი ეს ამაღლებს მათ პასუხისმგებლობას პარტიული დავალების შესრულებისა და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

ყოველდღიური საზრუნავია ახალგაზრდა კომუნისტების აქტიური ჩაბმა პარტიულ საქმიანობაში. აქ პარტბიურო განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენს. ეს აუცილებელია, რადგან ერთხელ მოგვივიდა შეცდომა: ახალგაზრდა კომუნისტს, რომელსაც პარტიის წევრობის მხოლოდ ერთი წლის სტაჟი ჰქონდა, რეკომენდაცია მივეცით სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარედ აარჩიევად. და მოხდა ის, რაც ამ მოუფიქრებელ და ნაჩქარევ გადაწყვეტილებას უნდა მოჰყოლოდა: გ. ლაკოევმა დახმარების მიუხედავად თავი ვერ გაართვა სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელობას და იგი ნაადრევად გავანთავისუფლეთ ამ მეტად მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისაგან.

მსგავსი შეცდომებიდან ჩვენ სათანადო დასკვნა გამოვიტანეთ, ახლა, როცა ახალგაზრდა კომუნისტებისათვის პარტიული დავალებების მიცემის საკითხს ვწყვეტთ, ჯერ ვესაუბრებით მათ, განვსაზღვრავთ მათს შესაძლებლობას, ვაცნობთ დავალების მნიშვნელობას და შემდეგ ვაძლევთ დავალებას. პირველ ხანებში უმეტესწილად დავალება დროებითია, მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, პარტიული კრებისათვის ან თათბირისათვის ამა თუ იმ საკითხის მომზადება, თავისუფალი ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება, ან გამოცდილ კომუნისტთან ერთად რომელიმე რეიდში მონაწილეობა. შემდეგ კი მათ თანდათან ვამზადებთ უფრო მნიშვნელოვანი, მუდმივი პარტიული დავალების შესრულებისათვის, რაც დადებითს შედეგს იძლევა. მაგალითად, ქიმიკოსი მ. კაჭარავა, რომელიც სკკპ წევრია 1979 წლიდან, ჯერ კომკავშირის კომიტეტის წევრი იყო, შემდეგ ამავე კომიტეტის მდივანი, ახლა კი საწარმოო ლაბორატორიის პარტჯგუფორგია და ამ დავალებას კარგად ასრულებს. ასეთი მაგალითი მრავალია. 1981-82 სასწავლო წელს 5 ახალგაზრდა კომუნისტი ჩავაბით რაიონში შექმნილ ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლაში, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათ წრთობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარტიული დავალების შესრულება, მუდმივი იქნება იგი თუ დროებითი, და ამ მხრივ პარტიული დისციპლინის დაცვა აუცილებელია ყველა კომუნისტისათვის. ამიტომ პარტიული ბიუროს წევრები დავალების მიცემის წინ გულდასმით ესაუბრებიან თითოეულ კომუნისტს, იზიარებენ მათს შეხედულებებს და ამის შემდეგ პარტიული ბიურო საბოლოოდ წყვეტს დავალებების მიცემის საკითხს. ზოგჯერ კი პარტიულ დავალებას კომუნისტებს უშუალოდ პარტიულ კრებებზე ვაძლევთ, რაც უკეთეს შედეგს იძლევა.

რა თქმა უნდა, პრაქტიკულ მუშაობაში ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ზოგჯერ წინააღმდეგობას ვაწყდებით. ისეც ხდება, რომ რომელიმე კომუნისტს ორი ან მეტი დავალება აქვს, მაშინ როცა ზოგიერთი საერთოდ უდავალებოდ არის დარჩენილი. ისინი თავს არიდებენ პარტიული დავალების შესრულებას ან ფორმალურად ეკიდებიან მას.

ასეთი ფაქტები მუდამ პარტიული ბიუროს ან, საჭიროებისას, პარტიული კრების მსჯელობის საგანი ხდება და ვალწევთ მის დადებითად გადაჭრას. დავალებები კომუნისტებს ეძლევათ საქმის ინტერესების მიხედვით, თითოეულის ცოდნის და უნარის გათვალისწინებით.

კაცი საქმით ფასდება. პარტიული დავალება და მისი დაწესებულ ვადებში შესრულება ყოველი კომუნისტის სიმწიფის, მისი აქტიურობის და ბრძოლისუნარიანობის კარგი მაჩვენებელია. ეს კი არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ კომუნისტთა მიერ პარტიული დავალების შესრულება სისტემატურად არ შევამოწმოთ. ამ მიზნით შემოღებული გვაქვს სპეციალური ჟურნალი, სადაც აღირიცხება დავალების მიცემის თარიღი, შინაარსი, შესრულების ვადა და მისი კონტროლი. პარტიული დავალებების შესრულებაში გვეხმარება პარტბიუროს სხდომებზე ან პარტიულ კრებაზე კომუნისტთა ინფორმაციებისა და ანგარიშების მოსმენა, რაც გარკვეულწილად ამაღლებს თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობას, როგორც პარტიული დავალებების, ისე მინდობილი საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის. ამასთანავე იგი საშუალებას გვაძლევს კარგად გავერკვეთ საქმის ვითარებაში, გავაანალიზოთ ამა თუ იმ უბანზე წამოჭრილი პრობლემები და ვიბრძოლოთ მათი გადაჭრისათვის.

კომუნისტთა პოლიტიკური აღზრდის სკოლაა პარტიული კრება. ამიტომ პარტიული კრებების მომზადებაში, მოხსენებისა და დადგენილების პროექტის შედგენაში რაც შეიძლება მეტ კომუნისტს ვაბამთ. მაგალითად, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს დახურული პარტიული კრების მომზადებაში, რომელზეც განვიხილეთ პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მოხსენების და დადგენილების პროექტის შემუშავებაში ჩაბმული იყო 15 კომუნისტი, ხოლო საანგარიშო-საარჩევნო კრების მოხსენებისა და დადგენილების შემუშავებაში — 21 კომუნისტი, კამათში გამოვიდა 19. ჩვენი აზრით, ასეთი ღონისძიებანი ხელს უწყობს კომუნისტებს ღრმად გაერკვენენ საქმის ვითარებაში და გვეხმარება ჩვენც მათი ავანგარდული როლის ამაღლებაში.

თუმცა აქვე თვითკრიტიკულად უნდა აღვნიშნოთ, რომ დაწესებული კონტროლის მიუხედავად არის დავალების შესრულების ვადების მივიწყების და მომთხოვნელობის მოდუნების ფაქტები, რასაც ზოგჯერ მეტად სავალალო ამბავი მოსდევს. სწორედ ამის შედეგი იყო 1981 წლის აპრილში ნედლეულის საამქროში მომხდარი 1 ტონა ინდური ნედლეულის დატაცების ფაქტი. დამნაშავეთ, ცხადია, საკადრისი მიეზღოთ, მაგრამ მომხდარი ფაქტი მეტად დამაფიქრებელია.

პარტიული დავალების შესრულების კონტროლი და მომთხოვნელობა შესუსტდა აგრეთვე ვაგონების დაცლა-დატვირთვის ოპერაციების წარმოებისას. ამის გამოც იყო, რომ ფაბრიკაში დაგროვდა დიდძალი დაუცლელი ვაგონები. ეს ფაქტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. აი, რა შეიძლება მოჰყვეს პარტიული დავალების შეუსრულებლობას და შესრულების კონტროლის მოდუნებას. ეს ჩვენთვის მეტად მწარე გაკვეთილია და ვითვალისწინებთ კიდეც მუშაობაში. ახლა ეს შეცდომები თანდათან სწორდება. დამატებით შევქმენით სახელმწიფო ქონების დაცვისათვის და ვაგონების მოცდენების წინააღმდეგ ბრძოლის პარტიული კონტროლის კომისიები, რომლებშიც არჩეული არიან გამოცდილი კომუნისტები.

ამჟამად უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ პარტიულ სწავლებას, ვატარებთ პარტჯგუფორგების სემინარებს და ინსტრუქტაჟს, განსაკუთრებით პარტიული დავალებების სწორად განაწილებისა და შესრულების კონტროლის შესახებ.

მიმდინარე წლის ნოემბერში გამართულმა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, როგორც მოხსენებაში, ისე კამათის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიული დავალებების სწორად განაწილებისა და მათი შესრულების კონტროლის საკითხებს, რაც საფუძვლად უდევს პარტიული ბიუროს მომავალ მუშაობას.

ი. ჩიგოგიძე,
თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

ვის რა დავაკისროთ?

ჩვენი კონსულტაცია

ბამბეულის საწარმოო გაერთიანება უდიდესია ჩვენს ქალაქში. ექვსი წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ამ კოლექტივში მოვედი სამუშაოდ, შევისწავლე მრთველის პროფესია, გავხდი მუშა-სპეციალისტი, პარტიის რიგებშიც აქვე მიმიღეს. სულ ცოტა ხნის წინათ ჩემმა თანამოსაქმე კომუნისტებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს და №2 სართავი წარმოების პარტბიუროს მდივნად ამირჩიეს.

მუშაობას ხალისით შევუდექი. ბამბეულის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტიც ყურადღებასა და მხარდაჭერას არ გვაკლებს. და მაინც, ახალბედა პარტბიუროს მდივნისათვის, მეტადრე საქმის დასაწყისში, ყველაფერი ნათელი და იოლი როდია.

გთხოვთ გაზეთის საშუალებით მოგვითხროთ, თუ როგორ უკეთესად შეიძლება გავანაწილოთ კონკრეტული დავალებები პარტბიუროს წევრებს შორის, ვის რა ფუნქცია დაეკისროს?

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ამჟამად, როცა პარტიულ ორგანიზაციებში სულ ახლახან დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, და ვფიქრობ, თქვენი პასუხი ბევრ სხვა ახლადარჩეულ მდივანსაც დააინტერესებს.

მ. ახალკაცი,
გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების №2 სართავი წარმოების პარტბიუროს მდივანი

* * *

პატივცემულო ამხანაგო! როგორც მოგეხსენებათ, პარტბიურო კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა. ამიტომ მის თითოეულ წევრს, რომელიც პასუხისმგებელია როგორც ერთობლივად საკითხების გადაწყვეტისათვის, ისე მთლიანად პარტბიუროს მუშაობისათვის, პერსონალურად მოეკითხება განსაზღვრულ უბანზე საქმის მდგომარეობა. საკითხების განხილვა და გადაწყვეტა — ერთად, პასუხისმგებლობა — პერსონალურად. ასეთია კოლექტიური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ პარტბიუროს წევრებს შორის მოვალეობანი მოფიქრებულად განაწილდეს.

რა თქმა უნდა, საამისოდ ერთიანი ქარგა, ერთიანი რეცეპტი არ გამოდგება. ბიუროში კონკრეტული ფუნქციების განსაზღვრისას მთავარია გავითვალისწინოთ პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა და რიცხობრივი შემადგენლობა, მისი მოღვაწეობის სპეციფიკა, სხვა თავისებურებანი.

როგორც წესი, პარტბიუროს წევრები არჩევნების შემდეგ იკრიბებიან თავიანთ საორგანიზაციო სხდომაზე და მოვალეობებს ინაწილებენ. ამ საქმისადმი ზერელე მიდგომა დანაშაულის ტოლფასია, რადგან მერე მისი შედეგი პრაქტიკულად იჩენს თავს. უნდა მივაღწიოთ, რომ დავალებები ყველგან რაც შეიძლება მიზანმიმართულად განაწილდეს, გაითვალისწინონ თითოეული კომუნისტის ცოდნა, უნარი, გამოცდილება და ამა თუ იმ საქმისადმი მისი მიდრეკილება, სიყვარული. თავიდათავია ის, რომ არჩევითი ორგანოს ყოველ წევრს კარგად ესმოდეს თავისი პასუხსაგები როლი, იყოს აქტიური, სრულად გამოავლინოს პირადი ინიციატივა მთელს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო თვითონ პარტბიუროს მდივნის არჩევისას, რადგან სწორედ მისი ავტორიტეტი, კომპეტენტურობა, ორგანიზატორული უნარი, ამხანაგებისადმი პატივისცემელი, მაგრამ პრინციპული, მომთხოვნი დამოკიდებულება ბევრად განსაზღვრავს მთელი პარტბიუროს შინაარსიან და ნაყოფიერ მუშაობას.

პარტბიუროს მდივნის მოადგილედ ორგანიზაციულ საკითხებში ირჩევენ ხოლმე კარგ ორგანიზატორს, რომელმაც იცის პარტჯგუფებისა და საამქრო ორგანიზაციების ცხოვრება, შეუძლია შინაარსიანი გეგმის შედგენა, თუ როგორ უკეთესად მომზადდეს და გაიმართოს პარტიული კრება, სწორი მიმართულება მისცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სწორად განაწილდეს კომუნისტთა ძალები, ჩაებან ისინი აქტიურ მუშაობაში.

მდივნის მოადგილე იდეოლოგიურ საკითხებში კარგად უნდა იცნობდეს საგიტაციო-პროპაგანდისტულ და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციას, ფორმებსა და მეთოდებს. ბევრ პარტორგანიზაციაში ირჩევენ პარტბიუროს მდივნის მოადგილეს, რომელიც კოორდინაციას უწევს საზოგადოებრივი კონტროლის სხვადასხვა ფორმას: ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიებს, სახალხო კონტროლის, პროფკავშირული კონტროლის ჯგუფებს, „კომკავშირულ პროჟექტორს".

ბევრგან პარტბიუროს წევრები მეთაურობენ ისეთ პასუხსაგებ უბნებს, როგორიცაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა, ახალი ტექნიკის დანერგვა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს პარტბიუროს ერთ-ერთ წევრს ეძლევა დავალება იზრუნოს კოლექტივში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის. ზოგან პარტბიუროს წევრი პასუხისმგებელია გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიანობისათვის, ახალგაზრდა მუშათა შორის დამრიგებლობის განვითარებისათვის; მეორეგან პარტბიუროს წევრს დავალებას აძლევენ უხელმძღვანელოს სახალხო რაზმელთა მუშაობას. თუ შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელი ან პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეა არჩეული პარტბიუროს წევრად, მათაც, როგორც სხვა წევრებს, თავიანთ უშუალო სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად ეძლევათ მუდმივი ან დროებითი პარტიული დავალებანი.

ასეც ხდება

რა ერთი, რა ორი, რა სამი,
არა აქვს ბოლო და მიჯნა...
და მაინც კვლავ იმას მიანდევს
კითხვა ლექციების მინდვრად.
მიანდევს დახატვა გაზეთის,
გაუძლევს შეხვედრებს ხვალის,
რადგან მის საქმეს და ნახელავს
არსად არ გაუვა წყალი.
მიანდევს ჭაბუკთა წაყვანა,
რომ ვინმე არ ასცდეს მიზანს,
რადგან ის ერთგული კაცია
და პატიოსნებას იცავს.
რა ხდება, ზღვა დავალებები
ხანამდე მიენდოს მარტოს?
კარგს იზამს ფაბრიკის
პარტკომი
თუ თავის საქმესაც ანდობს.

ვახტანგ გორგანელი.

ნახატი ა. კანდელაკისა.

პარტორგანიზატორი: რა ევალება მას?

ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ფართოდ გავრცელდა კომუნისტთათვის პარტორგანიზატორის დავალების მიცემის პრაქტიკა. პარტორგანიზატორებად ირჩევენ ყველაზე აქტიურ, ავტორიტეტიან კომუნისტებს და, როგორც წესი, ამტკიცებენ პარტიული კომიტეტების, ბიუროების სხდომებზე ან პარტიულ კრებებზე, იმ უბნებზე, სადაც არ არის პარტჯგუფის შექმნის შესაძლებლობა.

ფართო და მრავალმხრივია მათი ყოველდღიური საქმიანობა. ისინი არიან სამეურნეო ხელმძღვანელების აქტიური დამხმარენი, აწყობენ კოლექტივში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, თვალყურს ადევნებენ სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობას, ზრუნავენ ადამიანთა შესაძლებლობებისა და ძალ-ღონის უკეთ გამოყენებისათვის, ეხმარებიან მათ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებაში, ინფორმაციას აწვდიან პარტიულ კომიტეტს ან ბიუროს არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ, პირადი მაგალითით რაზმავენ ადამიანებს დამკვრელური შრომისათვის. პარტორგანიზატორის მუშაობის ძირითადი ფორმაა საუბარი. ის ცდილობს, რომ მშრომელები მუდამ იყვნენ საქმის კურსში, იცოდნენ კომუნისტთა საზრუნავი, აცნობს მათ პარტიისა და მთავრობის თითოეულ გადაწყვეტილებას. ამისათვის იგი აწყობს კოლექტიურ კითხვას და საუბრებს.

პარტორგანიზატორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საამქრო და პირველადი პარტორგანიზაციების გეგმებითა და გადაწყვეტილებებით, განსაზღვრავენ ადამიანებთან თავიანთი მუშაობის ძირითად საკითხთა წრეს. ისინი არიან პირველადი პარტორგანიზაციების სრულუფლებიანი წარმომადგენლები იმ შრომით კოლექტივებში, სადაც კომუნისტები არ არიან, ახორციელებენ იქ პარტიის კურსს.

კომუნისტთათვის პარტორგანიზატორის დავალების მიცემის პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ეს შრომითი კოლექტივის ყველა უბანზე პარტიული გავლენის გაძლიერების კარგი ფორმაა.

რ. აბაშიძე.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის

მსოფლიოში დიდი რეზონანსი მოჰყვა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხებს ამერიკის ენ-ბი-სი ტელეკომპანიისათვის. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მხურვალე, გულწრფელ მისწრაფებას დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისადმი, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისადმი, მოლაპარაკების გზით აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისადმი.

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხებმა, წერს ბულგარეთის „რაბოტნიჩესკო დელო“, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაადასტურა საბჭოთა სახელმწიფოს ქმედითი მშვიდობისმოყვარეობა, მისი თანამიმდევრული პრინციპული პოზიცია თანამედროვეობის უმწვავესი საკითხების გამო, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის პოლიტიკური სიბრძნე. ინტერვიუ უდიდესი ინტერესით აღიქვეს მთელ მსოფლიოში. ეს ინტერესი აიხსნება პასუხში აღძრული ამ პრობლემების მნიშვნელობით, რომლებიც მთელ კაცობრიობას აწუხებს. ეს პრობლემებია ბირთვული იარაღისადმი ეფექტიანი კონტროლის მიღწევის შესაძლებლობა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობა, რომელზეც გადამწყვეტ წილად არის დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატი.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) განაცხადა, რომ ახლანდელი საერთაშორისო ვითარების პირობებში უნდა დაცხრეს გამალებული შეიარაღების გამძაფრებისადმი სწრაფვა, და სერიოზულად, საქმიანად უნდა მოვკიდოთ ხელი შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკითხებს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა წარმატების მოპოვება ჟენევაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე, რაც უნდა მოხდეს ორივე მხარის მიერ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპის დაცვას საფუძველზე. სსრ კავშირი შესაბამის შეთანხმებას ესწრაფვის. ახლა ამერიკის ჯერია.

ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ პლანეტის ყველა ხალხისათვის მთავარია მშვიდობა, ხვალინდელი დღის რწმენა, წერს რუმინული „სკინტეია“. საბჭოთა კავშირი მომხრეა იმისა, რომ აქტიური დიალოგი გაიმართოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, კერძოდ უმაღლეს დონეზეც, ილაშქრის ბირთვული ომის საფრთხის აღსაკვეთად. იგი პოზიტიურად ეკიდება ნებისმიერი ქვეყნის მეცადინეობას, თუ მისი მიზანია პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღება, სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირება.

პრეზიდენტმა ბრეჟნევმა, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, მხარი დაუჭირა შეერთებულ შტატებთან აქტიურ დიალოგს, მათ შორის უმაღლესი დონის შეხვედრასაც. იგი თვლის, რომ ჟენევის მოლაპარაკების წარმატების საწინდარია ორივე მხარის მიერ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპის დაცვა.

ლეონიდ ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოლაპარაკება ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. საბჭოთა კავშირი მზად არის განაახლოს მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების, როგორც უძლავრესი და ყველაზე საშიში შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ.

ინგლისის „ტაიმსი“ აღნიშნავს: პრეზიდენტმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოგვიწოდა უარი ვთქვათ უაზრო გამალებული შეიარაღების პოლიტიკაზე. საბჭოთა ხელმძღვანელმა თქვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პროგრესის მიღწევა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების მოლაპარაკებაზე და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკების განახლება. საბჭოთა კავშირი მზად არის ამ მოლაპარაკების განახლებისათვის. აქ ჯერი ვაშინგტონზეა.

● ბულგარეთ-ავღანეთი

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

სოფია. ბულგარეთი და ავღანეთი თანამიმდევრულად იბრძოლებენ იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, ნათქვამია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში. მას ხელი მოაწერეს აქ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა და ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ქარმალმა.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე ქვეყნის თანამშრომლობის გაფართოება-გაღრმავებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ბუნებრივი რესურსების ათვისების დარგში.

ფოტოფაქტი

დასავლეთ ევროპის ქვეყნები ცდილობენ გამიჯნონ შეერთებული შტატების საშიშ პოლიტიკას. ამერიკის თვალით „დანახული მსოფლიო“ სულ უფრო მიუღებელი ხდება, და საერთაშორისო ასპარეზზე სწორედ ვაშინგტონის მოქმედებაში ხედავენ ადამიანები საფრთხეს. ნეიტრონული იარაღის წარმოების შესახებ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს საფრთხე.

სურათზე: ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია პარიზში.

აფპ-საქდესის ფოტო.

მდგომარეობა პოლონეთში

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ვ. იარუზელსკი შეხვდა სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენელთა ჯგუფს. ვ. იარუზელსკიმ დაწვრილებით დაახასიათა ქვეყნის ვითარება. მან თქვა, რომ მთავრობის ღონისძიებების მთავარი მიზანია დაძლიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ემუქრება სოციალისტური სახელმწიფოს საფუძვლებს. მან მოუწოდა მეცნიერებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს აქტიურად შეუწყონ ხელი სახალხო ხელისუფლების განმტკიცებას. პოლონეთის პრესის სააგენტო გვატყობინებს აგრეთვე, რომ 29 სავოევოდოს ადმინისტრაციულ ორგანოებში მოხდა კადრების გადაადგილება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაჯანსაღებას.

ქვეყანაში გრძელდება ნორმალური საწარმოო რიტმის აღდგენა. მოდის, კერძოდ, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იზრდება ქვანახშირის მოპოვება სილეზიაში, ნაგლინის წარმოება ფოლადსადნობ ქარხანა „ბაილდონში“, ფეხსაცმლის გამოშვება ფაბრიკა „ჰელმეკში“, რომ წლიური გეგმა შესრულდა შჩეცინის საზღვაო სანაოსნოში. ნორმალურად მუშაობენ ვარშავის, ვროცლავის სამრეწველო ობიექტები. გდანსკში მიმდინარეობს პარტიული და სამეურნეო აქტივების თათბირები, რომლებიც ეძღვნება, კერძოდ, წარმატებული შრომითი პროცესისათვის პირობების უზრუნველყოფის საკითხებს. წესრიგი აღდგა მეტალურგიულ კომბინატ „კატოვიცეში“. ორიათასამდე მშრომელი, რომელთაც ძალით აკავებდნენ სამქროებში „სოლიდარობის“ ექსტრემისტები, შინ დაბრუნდა. პროვოკატორები დააპატიმრეს.

გაზეთმა „ჟოლნეჟ ვოლნოსტიმ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან მ. ქეხოვსკისთან, რომელშიც ნათქვამია, რომ ამჟამად პარტიაში გაბატონებულია ორი ტენდენცია: ჯერ ერთი, აქტიურდებიან ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობით გამსჭვალული რიგითი წევრები; მეორე, უმჯობესდება პარტიული კომიტეტების მუშაობა. პარტია ვალდებულია აღორძინდეს, მთლიანად დარაზმოს თავისი ძალები.

მოსახლეობაში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების მიზნით სავოევოდოებში იქმნება საგიტაციო-პროპაგანდისტული შტაბები, რომლებშიც პარტიულ და ადმინისტრაციულ მუშაკებთან ერთად შედიან პარტიის ვეტერანები, ჟურნალისტები, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

პოლონეთის პრესის სააგენტო გვატყობინებს, რომ სამხედრო წესების შემოღების მომენტიდან სასამართლო ორგანოებს გადაეცათ 24 საქმე იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც ბრალად ედებათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კანონების დარღვევა. პოლონეთის პრესა შეშფოთებით იუწყებოდა კატოვიცეს სავოევოდოს მაღაროებში „ზემოვიტსა“ და „პიასტში“ შექმნილ ვითარებას, სადაც „სოლიდარობის“ წევრები რამდენიმე დღის განმავლობაში ტერორით აშინებდნენ 2 ათასზე მეტ მაღაროელს, აკავებდნენ მათ 500 მეტრ სიღრმეზე მიწის ქვეშ. ბოლო მონაცემებით, მაღაროელთა უმრავლესობა, ყოველივე ამის მიუხედავად, გამოვიდა შახტებიდან.

„სოლიდარობის“ მეთაურთა ანტისახალხო საქმიანობა ამხილა ლოძის სავოევოდოს ყოფილმა „გაფიცვების ორგანიზაციის კომისარმა“ მ. ბურსკიმ. მან პოლონეთის პრესის სააგენტოს განუცხადა, რომ თავზარდაცემულია იმის გამო, რაც კატოვიცესა და გდანსკში მოხდა. მას ახლა ესმის, პროფგაერთიანების დაარსების მომენტიდან რატომ ტრიალებდნენ მის გარშემო კას-კორის, „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის“, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დაცვის საბჭოს“ წევრები. ახლა ვიცი, თქვა შემდეგ ბურსკიმ, რომ მათ სურდათ „სოლიდარობა“ თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა შობის ღამეს 24-25 დეკემბერს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გააუქმა კომენდანტის საათი.

რ. რეიგანის გამოსვლა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი ტელევიზიით გამოვიდა საშობაო მიმართვით. მიმართვის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლონეთის ამბებს დაეთმო. იმის ნაცვლად, რომ ობიექტურად გამოეცა პოლონეთში მიმდინარე მოვლენათა არსი და ამასთან დაკავშირებით თავისი ქვეყნის აწონ-დაწონილი პოზიცია, პრეზიდენტმა გამოსვლა გამოიყენა იმისათვის, რომ ფორმითაც და შინაარსითაც უხეშად დასხმოდა თავს პოლონეთის სუვერენულ სახელმწიფოს და მის კანონიერ მთავრობას გენერალ ვ. იარუზელსკის მეთაურობით.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, სამწუხაროდ, განზრახ დაამახინჯა ყოველივე, რაც პოლონეთში ხდება. მისი სიტყვა აღსავსეა გამონაგონებით „მკვლელობების, მასობრივი დაპატიმრებების, საკონცენტრაციო ბანაკებისა“ და სხვა ამგვარების შესახებ. იგი იმასაც კი ამტკიცებდა, თითქოს პოლონეთის მთავრობა თავისი ხალხის წინააღმდეგ ომს ეწეოდეს. პრეზიდენტი საქმეს ისე წარმოსახავდა, თითქოს არ იცოდეს, თუ რას სჩადიოდნენ „სოლიდარობის“ წევრი ექსტრემისტები, რომლებიც ჯერ კიდევ 10 დღის წინათ გეგმავდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის დამხობას, ამზადებდნენ სისხლიან რეპრესიებს ათეულ ათასობით პატიოსანი პოლონელის წინააღმდეგ, თუმცა ეს მთელმა მსოფლიომ იცის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავს ნება მისცა ულტიმატუმური ფორმით ელაპარაკა, იგი ცდილობდა ეკარნახა, თუ რა უნდა აკეთოს პოლონეთმა, როგორი პოლიტიკა უნდა განახორციელოს მან ქვეყნის შიგნით და გარეთ. რ. რეიგანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ დროებით შეწყდეს ეკონომიკური ურთიერთობა პოლონეთის მთავრობასთან ძირითადი მიმართულებებით“. მან აგრეთვე გამოაცხადა, რომ მისი ადმინისტრაცია აჩერებს კრედიტების განახლებას, უკრძალავს პოლონეთის ფლოტს ამერიკის წყლებში თევზის ჭერას და პოლონეთის მთავრობას უწყვეტს სოფლის მეურნეობისა და რძის პროდუქტების ყველა სახელმწიფო მიწოდებას.

ასეთი მეთოდების გამოყენებას აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები სუვერენული სახელმწიფოს — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, იმისათვის, რომ მისი ხელმძღვანელობა თავისი უფლებამოსილების საფუძველზე იღებს ზომებს პოლონეთის ეროვნული ინტერესების დასაცავად. მაგრამ რ. რეიგანი ამას არ სჯერდება და აცხადებს, რომ სხვა ამგვარივე ნაბიჯებიც გადაიდგმება, თუ შეთქმულებს არ გაანთავისუფლებენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოსვლა გამოიყენა საიმისოდაც, რომ კიდევ ერთხელ დაეწამებინა ცილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკისათვის. მან სრულიად უსაფუძვლოდ განაცხადა, საბჭოთა კავშირს ხელი ურევია პოლონეთის ამბებშიო.

რ. რეიგანის მთელი გამოსვლა აღსავსეა უხეშობითა და მონაჭორით, გამსჭვალულია ქედმაღლობით სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების მიმართ. დაე იცოდნენ შეერთებული შტატების ხელისუფლებმა, რომ ეს ის ენა და ის პოლიტიკა არ არის, რომლისგანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკელ ხალხს შეუძლიათ რაიმე დადებითი მოელოდნენ თავიანთი თავისთვის.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

25 დეკემბერი

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **თეირანი**

მთავრობის მოწინააღმდეგე დაჯგუფების წევრებმა მოკლეს ირანის პარლამენტის დეპუტატი ქალაქ შაჰრე-ქორდისაგან და ამავე ქალაქის გუბერნატორი. იუწყება რა ამას, გაზეთი „ჯომჰურიე ესლამი“ აღნიშნავს, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ჰაშემი-რაფსანჯანიმ უშიშროების ორგანოებს მოუწოდა მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ იმასთან დაკავშირებით, რომ არ წყდება თავდასხმები ირანის ახლანდელი რეჟიმის მოღვაწეებზე.

● **ტოკიო**

იაპონიის ოკინავის პრეფექტურის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მკვეთრი პროტესტი გამოთქვეს იმის წინააღმდეგ, რომ ამ პრეფექტურის ჩრდილოეთში უნდა აშენდეს საცდელი პოლიგონი ამერიკის ვერტიკალური აფრენის „ავ-8ა“ ავიაგამანადგურებლებისათვის. კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ პენტაგონი ამ ობიექტს აშენებს ნაკრძალი ზონის ცენტრში.

ადგილობრივ მცხოვრებთა პროტესტების მიუხედავად, პოლიგონზე უკვე დაიწყო ავიაგამანადგურებლების გამოცდა.

● **ბამაკო**

სეიშელის კუნძულების რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ოდულმა აფრიკის სახელმწიფოებს მოუწოდა ხელი მოაწერონ კონვენციას აფრიკაში დაქირავებულობის შესახებ. ეს დოკუმენტი, რომელიც 1977 წელს მიიღო აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-14 ასამბლეამ, უმკაცრეს სასჯელს, მათ შორის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს დაქირავებულთათვის.

● **პარიზი**

როგორც გამბიის დედაქალაქ ბანჯულიდან იუწყებიან, ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა შვიდ კაცს, რომლებიც გარედან შეიარაღებული ჩარევის შედეგად მკაცრად ჩახშობილი სახელმწიფო გადატრიალების მონაწილენი იყვნენ. მათ შორის სამი რევოლუციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ აჯანყებულებს და ილაშქრებდნენ „გამბიაში კორუპციის, ტრაიბალიზმისა და სოციალური უსამართლობის“ წინააღმდეგ. მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში გამოსვლების ჩახშობის დროს დასავლეთ აფრიკის ამ პატარა ქვეყანაში დაიღუპა 800-ზე მეტი კაცი.

სად რა მოხდა

შობისწინა ზეიმის... მსხვერპლნი

მეხიკო. 200-ზე მეტი დახოცილი და 2000-მდე დაშავებული — ასეთია მექსიკაში ტრადიციული შობისწინა კვირეულის სავალალო შედეგი. იგი 16-23 დეკემბერს იმართება ხოლმე. მსხვერპლი გამოიწვია, უწინარეს ყოვლისა, მრავალრიცხოვანმა ხადლესასწაულო ფოიერვერკებმა, რომლებიც ზეიმის განუყოფელი ნაწილია. ერთი კვირის განმავლობაში ქვეყნისათვის მიყენებულმა ზარალმა 4 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ძლიერი ხანძარი

ნიუ-იორკი. ძლიერმა ხანძარმა მოიცვა ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ჩრდილოეთ რაიონები. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იუწყებიან, უბედურების ზონაში დაიღუპა 6 კაცი.

ჭადრაკი

წინ საზონათშორისო ტურნირია

ლენინგრადში დამთავრდა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საბჭოთა ზონალური ტურნირი ჭადრაკში.

მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მოსკოველებმა თ. მინოგინამ, ნ. ტიტორენკომ, ე. ფატალიბეკოვამ და კიეველმა ლ. სემიონოვამ.

მათ გარდა საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს კიდევ ხუთი მოჭადრაკე ქალი — ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურიელი, ე. ახმილოვსკაია, ი. ლევიტინა და მ. ლიტინსკაია.

ფეხბურთის ამბები

როგორია „წლის ნაკრები?“

იტალიურმა სპორტულმა გაზეთმა „გუერინ სპორტივომ“ მოაწყო ჟურნალისტების ტრადიციული გამოკითხვა: „დაასახელეთ 1981 წლის საუკეთესო ფეხბურთელი მსოფლიოში“ და „შეადგინეთ მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები“.

მსოფლიოს №1 ფეხბურთელად აღიარებულია ბრაზილიელი ზიკო, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ 2. მარადონა (არგენტინა), 3. რუმენიგე (გფრ), 4. კალცი (გფრ), 5. ბლოხინი (საბჭოთა კავშირი), 6. კროლი (ჰოლანდია), 7. ჟუნიორი (ბრაზილია), 8. ბრაიტნერი (გფრ).

მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები ამ გამოკითხვის შემდეგ ასე გამოიყურება: არკონადა (ესპანეთი), კალცი, პეცაი (ავსტრია), კროლი, ჟუნიორი, შუსტერი (გფრ), ბრაიტნერი, ზიკო, რუმენიგე, მარადონა, ბლოხინი.

უნგრეთის გაზეთმა „ნეფშპორტმა“ ევროპის თექვსმეტი ქვეყნის ფეხბურთის მიმომხილველთა გამოკითხვის შედეგად გამოაქვეყნა მსოფლიო სიმბოლური ნაკრების ფეხბურთელთა სია.

აი, როგორ გამოიყურება მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები — 81: არკონადა, კალცი, პეცაი, პასარელა (არგენტინა), ჟუნიორი, ბრაიტნერი, ნილაში (უნგრეთი), ზიკო, რუმენიგე, მარადონა, ბლოხინი.

დ. რ. ფანცხავას დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 26 დეკემბერს საღამოს შვიდ საათზე განსვენებულის ბინაში — ძნელაძის ქუჩა № 42.

გამოსვენება — 27 დეკემბერს დღის 3 საათზე. (საქინფორმი).

ს. ა. ლაშხი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1940 წლიდან, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი სერგი ალექსანდრეს ძე **ლაშხი.**

იგი სამ ათეულ წელს ემსახურა რაიონულ გაზეთს და მნიშვნელოვანი ამაგი დადო მას. დიდი შრომისმოყვარეობითა და რუდუნებით აკეთებდა მინდობილ საქმეს.

ს. ა. ლაშხი დაიბადა 1918 წელს სოფელ საირხეში (საჩხერის რაიონი). საჩხერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვიტორის 7-წლიან სკოლაში მასწავლებლად. 1938 წლიდან გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციაში განყოფილების გამგედ, რედაქტორის მოადგილედ, საჩხერის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. 1942 წლიდან საბჭოთა არმიის რიგებშია, იყო ფრონტზე. დემობილიზაციის შემდეგ პარტიის საჩხერის რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტია. შემდეგ ამთავრებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლას, სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ს. ლაშხი კვლავ უბრუნდება საგაზეთო მუშაობას — არის გაზეთ „ოქტომბრის გზით“ (საჩხერე) რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, ამავე გაზეთის რედაქტორი, ხოლო 1965 წლიდან 1975 წლამდე — საჩხერის რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების“ რედაქტორი, საიდანაც პენსიაზე გავიდა.

კომუნისტის, შრომისმოყვარე ჟურნალისტის ს. ა. ლაშხის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი ვახტანგ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

□ 28 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კალინინგრადი“ და „ეტიუდი ოსეთზე“, 11.20 — მხატვრული ფილმი — „ვოლგა-ვოლგა“, 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი, 13.30 — ფილმ-სპექტაკლი „ვარშავული მელოდია“, 15.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კიევის შესახებ ღიმილით“, 16.00 — „თქვენთვის, პატარებო“ — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.30 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია, 17.00 — უმცროსკლასელთათვის — „ვიწყებთ ლაპარაკს რუსულად“, 17.30 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“, 18.15 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის — „ნიკო ლორთქიფანიძე“, 19.00 — „რედაქციაში წერილი მოვიდა...“, „მომხვეჭელობა — საშიში სენი“, 19.40 — მუსიკალური შესვენება, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.40 — „მუსიკა-81“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ფილმის აღიარება“ („დათა თუთაშხია“), 23.25 — ახალი ამბები, 23.40 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ტალინის „კალევი“. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 17.10 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 17.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთავარი ხარისხია“, 17.55 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია, 18.40 — მხატვრული ფილმი „საგაზაფხულო ოლიმპიადა ანუ გუნდის ხელმძღვანელი“, 19.50 — განცხადებები.

□ 29 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „სტუდენტების ციხე-სიმაგრე“, 11.10 — „მხედრული დიდება“ — სატელევიზიო პროგრამა, 11.55 — მხატვრული ფილმი — „დედა“, 13.25 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 13.55 — „თქვენთვის, პატარებო!“. მულტიპლიკაციური ფილმი, 14.30 — სატელევიზიო ფილმი „უმცროსი და“, 16.55 — განცხადებები, 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.30 — „თქვენთვის, პატარებო!“ — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.40 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი“, 18.00 — ჟურნალ „ივანანას“ წერილების კვალდაკვალ, 18.40 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“ — საგარეჯოს რაიონი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.40 — „შეხვედრა საგარეჯოში“ — კონცერტი, 21.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „პოეზია“ — შოთა ნიშნიანიძე, 23.05 — ახალი ამბები, 23.20 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — მინსკის „რტი“. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 17.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 17.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა ურენგოიზე“, 18.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 18.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გონიერი საგნები“. პირველი სერია.

□ 30 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.40 — დოკუმენტური ფილმი „საუკუნესთან მხარდამხარ“, 11.30 — მხატვრული ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა“, 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი, 13.30 — „ცირკის მოყვარულთათვის“, 14.10 — დოკუმენტური ფილმი „დაუჯერებელი სიმართლე“, 15.20 — მხატვრული ფილმი „ამაოებათა ამაოება“, 16.55 — განცხადებები, 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — ბავშვებისათვის — ი. გურგულაის სიმღერები, 18.00 — „თქვენთვის, პატარებო!“ — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — „შეხვედრა მომღერალთან“ — ეკატერინე სოხაძე, 19.05 — „სპორტი-81“ (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.40 — მუსიკალური შესვენება, 20.45 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „იცოცხლე, გენაცვალე“. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ახალგაზრდობა“. — სატელევიზიო პროგრამა.

მეორე პროგრამით: 17.05 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნაკრძალი მოჟაზე“, 17.45 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.30 — კინონარკვევი, 18.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გონიერი საგნები“. მეორე სერია, 19.50 — განცხადებები.

□ 31 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა, როვესნიკ“, 11.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.10 — გადაცემა ქალებისათვის — „ახალი მოდები“, 11.45 — დოკუმენტური ფილმი „სიმღერის დაბადება“, 12.45 — სატელევიზიო ფილმი „ექსპრომტი“, 13.00 — მუსიკალური სპექტაკლების სცენები, 14.25 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ოთხი მეგობრის ცხოვრება და თავგადასავალი“. პირველი და მეორე სერია. პრემიერა (მ.), 15.30 — ახალი ამბები (მ.), 15.40 — ბავშვებისათვის სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ოთხი მეგობრის ცხოვრება და თავგადასავალი“. მესამე და მეოთხე სერია. პრემიერა (მ.), 16.45 — კინონარკვევი, 16.55 — „ბალეტის მოყვარულთათვის“, 17.25 — მოსწავლეთათვის — „საახალწლო განწყობილება“, 18.10 — გადაცემა „ძლივს კიდევ ერთი წელი“, 19.10 — სატელევიზიო ჟურნალი „თვალთაი“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.10 — „მოამბე“, 20.50 — „მხიარული ეკრანი“. ბრონისლავ ნუშიჩი. „ქორი“ სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 21.10 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები. „ურჩი ბედინეირი“, „სათადარიგო ბორბალი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.40 — „მრავალჟამიერ, ჩვენო ქვეყანავ!“, 00.50 — საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს (მ.), 01.05 — „ცისფერი ეკრანი“ (მ.), 04.30 — „საცეკვაო დარბაზი“ (მ.), 05.00 — საესტრადო მელოდიები და რიტმები (მ.).

□ 1 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — ახალი ამბები (მ.), 09.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოური [illegible]“, გადაცემა „დიდება შენს მობრძანებას“, 10.30 — „საახალწლო კინოდარბაზი ბავშვებისათვის“ — მხატვრული ფილმი „თეთრთოვლა და შვიდი ჯუჯა“, 12.00 — ბავშვებისათვის — „დღეს თოჯინების დღეობა“, 12.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კოჯრის ტყის სიზმრები“, 13.05 — კონცერტი „მიყვარდა ჰანგი“, 13.35 — ახალგაზრდობისათვის — „ფეხბედნიერი“, 14.20 — კუბის ტელევიზიის პროგრამა (ეძღვნება კუბის რევოლუციის 23-ე წლისთავს), 15.20 — „თქვენთვის, პატარებო!“ — მულტიპლიკაციური ფილმები, 15.50 — ბალეტის მსახიობთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი (მ.), 16.50 — „ხალხური შემოქმედება — „გამბაირულდი, ბუხარო“, 17.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი ბაკურიანი“, 18.00 — „მხიარული ეკრანი“ — გ. გორინი. „ვინ ვინ არის“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 18.45 — მუსიკალური შესვენება, 18.50 — „ეკრანის ოსტატთა ნობათი“, 20.30 — „მხიარული ეკრანი“ — გ. გორინი. „უთავბოლო კაცის ახსნა-განმარტება“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 20.50 — საესტრადო გასართობი პროგრამა — „საახალწლო შეხვედრა „ივერიასთან“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „გილოცავთ თეატრი“.

□ 2 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ბავშვთა ქორეოგრაფიული კოლექტივების კონცერტი (მ.), 10.00 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა...“, 11.10 — „კინოაფიშა“, 11.40 — ბავშვებისათვის — გ. ნახუცრიშვილი „ჭინჭრაქა“. ქართული თოჯინების სატელევიზიო სპექტაკლი, 12.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 13.30 — დოკუმენტური ფილმი „კორვალანის გული“. ჩილეს კომპარტიის 60 წლის თავის გამო (მ.), 14.25 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სერენადა“, 14.55 — ბავშვებისათვის — ჩვენი საახალწლო კინოდარბაზი — „მულტპანორამა“, 15.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპელა“, 16.00 — „გლობუსი“, 17.00 — „სალაღობო“, 18.00 — „პოეზია“ — კითხულობს გ. საღარაძე, 18.30 — „ივენა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 19.30 — ახალგაზრდობისათვის — საესტრადო-გასართობი პროგრამა „სიყვარული დაგებედოთ“, 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „ჩემი საყვარელი კინოკომედია“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

□ 3 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „თქვენთვის, პატარებო!“ — „ცეროდენას ეკრანი“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — დილის კონცერტი „მეგობრება ძვირფასი წამი“, 11.20 — „საახალწლო კინოდარბაზი ბავშვებისათვის“ — მხატვრული ფილმი „მარგო კუნძულს ვერ წაიღებ თან“, 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — ლიტერატურული გადაცემა „დაბრუნება“, 13.55 — ხალხური შემოქმედება — „გულს ემღერება“, 14.35 — „ჩვენი კონკურსი“ (ფოტოსლაიდების სატელევიზიო კონკურსის შედეგები), 15.05 — „მხიარული ეკრანი“ — ნ. ლორთქიფანიძე. „რუბი“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 16.10 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 16.40 — „ილუზიონი“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „მოამბე“, 20.20 — „ღიმილის გარშემო“ — იუმორის საღამო ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ახალგაზრდობისათვის — ფოტომიმოხილვა „საუკუნე თვალის ერთი გახელებით“, 22.50 — „ძველებური რუსული რომანსის საღამო“.

რა მოვისმინოთ



საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

□ 28 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.15 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 11.15 — „გულახდილი, პრინციპული მსჯელობა“. რეპორტაჟი, 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.50 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 12.15 — მღერის ზ. ცისკარიძე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ვაჟა-ფშაველას ლექსები, 12.40 — კონცერტი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ქართული ეკრანის მელოდიები, 13.30 — უკრავს გ. ქავთარაძე, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — „მერიდიანი მეთერთმეტე ხუთწლედი“ — რადიოკომპოზიცია „ჭარმაგო კაცო, ევტიხი თურქია“, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „ჩვენი ლაშქარი“. რადიონარკვევი „წრფელი გული“, 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „წლის ფინიშზე“ (მ.), 20.30 — ზ. ფალიაშვილი. ოპერა „აბესალომ და ეთერი“, 23.30 — საღამოს მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

□ 29 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — ბ. კვერნაძე. „ძველი ქართული წარწერები“, 11.15 — „ჩვენი კრიტიკული გადაცემების კვალდაკვალ“, 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.50 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 12.15 — მღერის ანსამბლი „ორიონი“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — გ. ტაბიძის ლექსები, 12.40 — „ყველა მერიდიანზე“ — ფაქტები, მოვლენები, კომენტარი“, 12.50 — ეკრანის მელოდიები, 13.30 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „რაიკომის მდივანი“. დოკუმენტური რადიომოთხრობა. პირველი ნაწილი, 19.40 — „1981 — სკკპ 26-ე ყრილობის წელი“ (მ.), 20.30 — „რწმენის სიმღერა“. ლიტერატურული კომპოზიცია, 21.00 — ახალგაზრდობისათვის — რადიოფილმი „მრავალ ახალ წელს“. პირველი ნაწილი, 22.00 — კონცერტი. ა. ჩიმაკაძის ნაწარმოებები, 23.30 — ბახი. კონცერტი ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისათვის რე მინორი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

□ 30 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — მ. დავითაშვილი. ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 11.15 — მღერის ს. როგავა, 12.10 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 13.30 — ე. აზარაშვილი. სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — დ. გამრეკელის კონცერტი, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.00 — თბილისის ახალი ამბები, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „რაიკომის მდივანი“. დოკუმენტური რადიომოთხრობა. მეორე ნაწილი, 19.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მ.), 20.30 — „თბილისი-ბაქო-ერევანი“. რადიოჟურნალი (ბაქოდან), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — რადიოფილმი „მრავალ ახალ წელს“. მეორე ნაწილი, 22.15 — ქართული ეკრანის მელოდიები, 23.30 — ი. ჰაიდნი, სიმფონია სოლ მაჟორი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

□ 31 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — ანსამბლ „75-ის“ კონცერტი, 11.15 — „ხუთწლედი — წელი პირველი“. საუბარი, 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.40 — ფ. მენდელსონი. უვერტიურა „მშვენიერი მელუზინა“, 11.50 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 12.40 — „წელი დაუვიწყარი“. რადიოკომპოზიცია, 13.30 — ს. ცინცაძე, საკვარტეტო მინიატიურები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, 14.20 — ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტე“ ნაწყვეტები, 15.00 — „ახალი წელი მობიჯებს საბჭოთა მიწაზე“ (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — ნ. მგელაძე, „უცნობი ბიჭის დღიური“. რადიოდადგმა (პრემიერა), 18.00 — აჭარის ასსრ ახალი ამბები, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „ახალი წლის მიჯნა“. რადიოკომპოზიცია, 19.40 — ქართული ხალხური ჰანგები, 20.30 — სპექტაკლების „იეთიმ გურჯისა“ და „პეპოს“ სცენები, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — „მუსიკალური — 81“. მიმოხილვა, 23.30 — „შენ გაგიმარჯოს, ახალო წელო“. ლიტერატურულ-მუსიკალური რადიოკომპოზიცია, 24.00 — „გილოცავთ ახალ წელს!“, 00.25 — „მრავალჟამიერ“. კონცერტი, 00.50 — „გილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!“ (მ.).

□ 1 იანვარი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „მრავალ ახალ წელს“. კონცერტი, 07.30 — „მრავალ ახალ წელს“. კონცერტის გაგრძელება, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.15 — „სალხინო“. კონცერტი, 09.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. საახალწლო გამოშვება, 11.10 — ქალაქური ჰანგები, 11.25 — მიკროფონთან ქართველი პოეტები, 11.45 — „შეხვედრები მიკროფონთან“. მუსიკალური პროგრამა, 14.15 — ვალსები, 14.30 — „საახალწლო“ — გვილოცავენ საქართველოს თეატრების მსახიობები, 15.30 — „შენ ხარ ვენახი“ — ქართული ხალხური სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოკომპოზიცია „ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ“, 18.00 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა 19.00 — სპექტაკლების სცენები სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა მონაწილეობით, 20.00 — „სიმღერა-81“, 20.20 — მ. ლებანიძე, „საახალწლო ბალადა“, 20.35 — „სიმღერა-81“, 21.10 — „მხიარულ ტალღაზე“, 21.40 — მღერიან კინოსა და თეატრის მსახიობები, 23.30 — „საახალწლო“. კონცერტი.

□ 2 იანვარი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.15 — „ღიმილის საათი“, 11.55 — „ცისფერი ჰორიზონტები“. რადიოკომპოზიცია, 12.15 — „თქვენთვის, ესტრადის მოყვარულებო“, 13.30 — დები იშხნელების კონცერტი, 14.00 — ქართული კომედიების სცენები, 15.00 — „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. კონცერტი-ინტერვიუ, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — პოპულარული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — მღერის „მართვე“, 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 19.30 — „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — უ. ჩხეიძე, 21.00 — „ძილისპირული“. 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „საღამო მშვიდობისა“. მუსიკალური პროგრამა, 23.30 — „სალაღობო“. კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

□ 3 იანვარი

პირველი პროგრამით, 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 07.40 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 09.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.30 — მოსწავლეთათვის — „სიმღერის ფრთებით“. ლექსები და სიმღერები, 11.15 — „პიონერთა დაფიონი“ (მ.), 11.35 — ეკრანის მელოდიები, 12.15 — „პოეტი მიკროფონთან“ — შ. ნიშნიანიძე, 12.30 — მუსიკალური მოზაიკა, 13.30 — „მუსიკა ჩემს ცხოვრებაში“. კონცერტი-ინტერვიუ, 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი“. რადიოჟურნალი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ (ერევნიდან), 15.30 — „სიკეთით აღვსილი“. რადიონარკვევი, 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ეს მოხდა შუადღისას“, 18.15 — რადიოსადგურ „იუნოსტის“ პროგრამა (მ.), 19.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 20.30 — ა. ადამია. „სოფელი ხემაღალი“. რადიოდადგმა, 21.30 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 15476 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.